წელიწადი პირველი ფასი 7 კაპ. პარასკევი, 25 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 177

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. „საქართველო“ 1916 წ.

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელ.ის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.
ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.
პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.
გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მ ე რ ა ნ ი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

მიიღება ხელის მოწერა

მეცხვარეების საყურადღებოდ.

იყიდება მთა-იალაღი და საძოვრი მიწები თრიალეთში

ბორჯომისა და სახელმწიფო მამულების შუა (გორის მაზრა), ზომით 800 დესეტინაზე მეტი. მამული ეკუთვნის თ-დ იასონ დავითის ძე ციციშვილს. მამული უვალოა. სყიდვის მსურველმა უნდა მიჰმართოს ქ. სიღნაღში ნიკ. ივ. ახმეტელაშვილს

(6—5)

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ომის ამბები

ომის დეპეშები

24 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. პრიპიატის სამხრეთით, კუხონტის რაიონში, რუსებმა შეავიწროვეს გერმანელები. სტრიპის ნაპირებზე რუსებმა დაიმკვიდრეს აღებული პოზიციები. მტრის ცდილობა, რომ დაკარგული ადგილები დაებრუნებინათ, ამაო და უნაყოფო დარჩა. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება, ამასთანავე რუსებმა მტრის პოზიციის წინა ნაწილი დაიჭირეს. მათი კონტრიერიშები მოგერებულ იქმნა. ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილ იქმნა 18 აფიცერი, 1043 ჯარისკაცი 4 ტყვიისმფრქვეველი.

კავკასიის ფრონტი. ზღვის სანაპიროებზე, მდ. არხავესთან რუსებმა გაჰფანტეს ოსმალები, რომელთაც თავი მოეყარათ სოფ. პატაჯურასთან. აგრეთვე დაანგრიეს მათი კარავები და თხრილები.

ლონდონი, 23 ქრისტ. არმანტერის რაიონში საარტილერიო ბრძოლის დროს ჩვენ ჩავაჩუმეთ მტრის 2 გაუბიცა, ხოლო იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გავფანტეთ მათი საპიროები. ალბერის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლის შემდეგ მტერი გამოერთა ჩვენსკენ, მაგრამ სროლით ხელი შევუშალეთ, რაიმე მიზნისთვის მიეღწიათ.

ლონდონი, 23 ქრისტ. გემს „ჯილონგს“ დაეჯახა მეორე გემი „ბონვინსტენი“, რომელიც ძალზე დაზიანდა.

პარიზი, 23 ქრისტ. ახალ წლის გამო ადოლფმა ფრანგთა ჯარებს დაუგზავნა ბრძანება, სადაც ნათქვამია,— მტერი კიდევ გვიმკლავდება, მაგრამ მალე დამარცხდებაო. იაფფასიან გამარჯვებით კმაყოფილდება პატარა ომის ასპარეზზე, დიდზე კი იგი დამარცხებულიაო. „ზავზე მტერმა დაიწყო ლაპარაკი. ჩვენ კი ვიფიქროთ ომზე და საბოლოო გამარჯვებაზე“.

პეტროგრადი, 23 ქრისტეშობის. შავი ზღვის ნაღმოსნებმა 21 ქრისტეშობისთვეს 11 იალქნიანი ნავი დაიჭირეს, რომელთაც არაფერი არ მიჰქონებიათ. მათზე 40 კაცი ისხდა. ზოგიერთს მათგანს იარაღი აღმოაჩნდა.

პარიზი, 23 ქრისტეშობისთვე. მკაცრი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს „193“ მწვერვალისა და თავიურის გორაკის შუა, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმიერო არა მომხდარა რა.

პარიზი, 22 ქრისტეშობისთვე. დარდანელი. საარტილერიო სროლას არ ჰქონია დღეს ინტენსიური ხასიათი. 20—21 ქრისტეშობისთვის განმავლობაში თვალსაჩინო არა მომხდარა რა.

ლონდონი, 22 ქრისტეშობისთვე. ლორდ დერბის სისტემით მოკრებილ ჯარისკაცთა შემდეგი რეზულტატი მივიღეთ: საქორწინო ახალგაზრდობიდან, რომელთაც ომში წასვლა არ მოისურვეს და კატეგორიული უარი განაცხადეს, სულ 1,029,231 კაცი აღმოჩნდა. ამათგან 378,071 კაცმა მაინც საჭიროდ სცნეს რომ ეროვნულ საქმეს ემსახურონ. შემდეგ უარი განაცხადეს კიდევ 651,160 კაცმა, მათ არ მოისურვეს მოხალისედ ჩაწერა. თავისუფალ მოხალისეთ მოისურვეს გასვლა, 1,150,000 უცოლშვილომ და 1,679,263 ცოლშვილიანმა. აქედან 207,000 უცოლშვილო გამოდგა ღირსად, და 21,859 ცოლშვილიანი. საზოგადო რიცხვი ახლად მოკრებილ ჯარისკაცებისა უდრის 217,931 უცოლშვილო კაცს და 832.210 ცოლშვილიან კაცს.

პარიზი. 22 ქრისტეშ. თვე. მტრის კონსულები; რომელნიც სოლუნში დაატყვევეს, გაიგზავნენ მარსელში, აქედან შვეიცარიის საზღვარზე გააცილებენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვილჰელმის ავადმყოფობა.

გაზეთებში ცნობები იყო მოთავსებული, ვილჰელმი ავად არისო. „ვოლფის“ სააგენტომ ორჯელ უარჰყო ეს ამბავი და იტყობინებოდა, ვილჰელმს, მხოლოდ წყლული მუწუკი აქვსო. სხვანი დაჟინებით ამბობენ ანთება აქვსო.

ზავის გარშემო.

„ციურიხერ ცაიტუნგ“-ში მოთავსებული იყო წერილი ზავის პირობების შესახებ. „ვოლფის სააგენტო“ და „ნორდ. ალგ. ცაიტ.“ ამტკიცებენ, ამ წერილში გამოთქმული კერძო პირის მოსაზრებანია და არა გერმანეთის მმართველ წრეების აზრიო.

ამის გამო გრაფი რევენტლოვი სწერს: ზავზე ლაპარაკიც მეტია. ომის მიზანია მოპირდაპირის ჯარის გაწყვეტა. თუმცა მტერს დიდი მიწა-წყალი ჩამოვაცალეთ, მაგრამ უმთავრესი მიზანი—მტრის ცოცხალი ძალის გამუსვრა,—ჯერ მიუღწეველია. სანამ ეს მიზანი მიღწეული არ იქნება, ზავიც არ შეიძლება მკვიდრი იყოს, ამისათვის ზავზე ლაპარაკი, წყლის ნაყვაა.

გახიზნული სერბიელნი.

სალონიკიდან საფრანგეთში გაგზავნეს 25 ათასი გამოქცეული სერბიელი. 3 ათასი კი სალონიკშივეა.

მაკენზენი ფერდინანდთან.

გენერალი მაკენზენი საგანგებოდ ჩასულა სოფიაში და ბულგარეთის მეფე ფერდინანდთან ხანგრძლივ უთათბირნია. თათბირს დასწრებიან გერმანეთისა და ავსტრიის დესპანებიც.

ამბობენ ამ თათბირზე სტრატეგიული გეგმა შეიმუშავესო. გერმანეთს, ვითომც განზრახვა ჰქონდეს ბალკანეთის ასპარეზი ბულგარეთ-ავსტრიას მიანდოს, გერმანელი ჯარი კი სხვა ასპარეზზე გადაიყვანოს.

სპარსეთში

მეამბოხენი არა სცხრებიან.

სპარსელი მოხალისენი და ჟანდარმები, ვინც კი ოსმალეთისა და გერმანეთის მომხრეა, ეხლა თავს იყრიან მალაიერსა, ბურუჯირსა და ქერმანშაჰში.

ფერმან-ფერმას არ ასვენებენ.

სპარსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან, სადაც კი ოსმალეთ-გერმანეთის გავლენა ძლიერია, თეირანში დეპეშადეპეშას მისდევს, ფერმან-ფერმას პირველ მინისტრად დანიშვნის წინააღმდეგ.

პროკლამაციები თეირანში.

თეირანის ქუჩებში მუდამ დღე ახალახალ პროკლამაციებს აკრავენ და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგ ასამხედრებლად მოუწოდებენ ხალხს.

გაზაფხულის მოლოდინში.

ოსმალეთის ელჩი სპარსეთის მთავრობას აფრთხილებს, ბელგეთის ბედში არ ჩაიგდოთ თავიო. თუ დღეს სრულს ნეიტრალობას ვერ დაიცავთ, ოსმალეთისათვის ხელსაყრელი ნეიტრალობა მაინც გამოიჩინეთო. ელოდეთ გაზაფხულს, როდესაც სპარსეთში შემოვა ძლიერი ჯარი გერმანელებისა და ოსმალებისაო.

წყალქვეშა ნავები ბუდრუმში.

სმირნაში გერმანელი მექანიკოსები წყალქვეშა ნავებს ნაწილ-ნაწილად ჰშლიდნენ. ამ ერთი თვის წინად ისინი საითღაც გაემგზავრნენ. ეხლა გამოირკვა, რომ აიდინის რკინის გზით მათ ბუდრუმში (კორას სრუტეზეა) გადაუტანიათ დაშლილი წყალქვეშა ნავები.

არეულობა ჩინეთში.

ჩინეთში რევოლიუციონერები აჯანყდნენ რესპუბლიკის დამხობასა და თვითმპყრობელობის აღდგენის გამო. მათ ჰყავთ ჯარი იუანში, რომელსაც სათავეში უდგას გენერალი ემაჩიაო. ჯარი სამ დივიზიათ იყოფა და გერმანული ახალი თოფებითაა შეიარაღებული. მეამბოხეებს სამხედრო საბჭო ჰყავთ, რომელიც აჯანყებულ პროვინციებს განაგებს და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მეთაურობს.

სიჩუანის, კვეიჩეოუს და გვიგნსის პროვინციებში დიდი მღელვარებაა. ჯარი მეამბოხეების მხარეს გადადის. იუანშიკაიმ დეპეშით მიჰმართა მეამბოხე გენერლებს, შევრიგდეთ, თვითმპყრობელობის აღდგენაში ხელი წამახმარეთ და მეფურად დაგაჯილდოვებთო. იუანშიკაი ჯერაც პასუხს ელის.

ბალკანეთში.

საბერძნეთში.

საბერძნეთის საზღვარზე ბულგარელებს დიდძალი ჯარი ჰყავთ. ცხადია ავსტ.-გერმანელების ჯართან ბულგარელებიც გადავლენ საბერძნეთის მიწა-წყალზე, მით უმეტეს რომ აქ ავსტრო-გერმანელებს მხოლოდ 100 ათასი მეომარი ჰყოლიათ.

ბულგარეთი.

ბულგარეთში ეროვნული კრება მოხდა. კრებაზე მეფე ფერდინანდი მივიდა თავისი ვაჟების თანხლებით. ფერდინანდს სამხედრო ფორმა ეცვა და გერმანული ორდენებით იყო შემკული. კრებამ სამხედრო საქმისათვის 500 მილიონი გადასდო.

უკანასკნელი ფოსტა

გერმანელთა იმედი.

გერმანული გაზეთები, თურმე, იმედოვნებენ, რომ ფრანც-იოსების გარდაცვალების შემდეგ, ავსტრია-ჰუნგრეთი ჰოგენცოლერნ ზ ა სკიპტრას დაუმორჩილდებაო.

სტამბოლის მეციხოვნე ჯარი.

სტამბოლში ეხლა იმყოფება 16 ათასი გერმანელი და 4 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი.

გალიცია-ვოლინის მიდამოებში.

პეტროგრადში მიღებულის ცნობით, გალიცია-ვოლინის ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირეთა ჯარს სარდლობენ გენერ. პფლანცერი და მაკენზენი. გალიციაში მომქმედ ჯარს მაკენზენი ხელმძღვანელობს. აქ ჰყავთ მილიონნახევარი ჯარი.

სერბიელები ტულონში.

ტულონში კრეისერმა მიიტანა სერბეთის ხაზინა, რომელიც პარიზში მიაქვთ.

ამავე გემით მისულან სერბეთიდან წასული რუსეთის მისიის წევრება. მათ დიდი გასაჭირი გამოუვლიათ, ნიშიდან სოლუნამდე 50 ვერსი ფეხით გაუვლიათ მთა-ღრეებში. მთელი ბარგი გზაში გადაუყრიათ, რომ ვერ მოუხერხებიათ ზიდვა.

მარმარილოს ზღვაში.

მარმარილოს ზღვაში გერმანელების წყალქვეშა ნავები გამოჩნდა.

გერმანელთა ჯარი.

სერბეთის ასპარეზზე მომქმედი გერმანელების ჯარი ბუკოვინის ბრძოლის პირზე გადაუყვანიათ.

მაკენზენის ჯარი.

როგორც იტყობინებიან, მაკენზენის შტაბი ჩერნოვიცაში იმყოფება.

ს პ ა რ ს ე თ ი.

ოსმალეთის საზღვარზე, გარგავარის ოლქში, ოსმალების ჯარი გამოჩნდა. ეტყობა ოსმალები შემოტევას აპირებენ ურმიის ტბის დასავლეთ და სამხრეთ მხარეს.

სოუჯ-ბულაქში ოსმალების ახალი ჯარი მოსულა. ქრისტიანი მოსახლეობა საგონებელს მიეცა.

მეფე პეტრე.

ამას წინად ხმა გავრცელდა, სერბეთის მეფე პეტრე ათინაში მიემგზავრებაო. ეხლა გაზეთები უარყოფენ ამ ამბებს.

რიგის გარშემო.

გერმანელებმა რიგის მიდამოებში ფურცლები გაავრცელეს, სადაც იმუქრებიან, რიგას საახალწლოდ ავიღებთო.

ბრძოლის ველზე

რიგიდან მოყოლებული მდ. პრიპიატამდე, სჩანს, არა მომხდარა-რა. ოფიციალ დეპეშაში მთელი ეს ბრძოლის პირი ნახსენები არც კი არის. პრიპიატის სამხრეთით რამდენიმე დღის წინად დაწყებული სამხედრო მოქმედება ვითარდება და გართულებისაკენ მიდის. ბრძოლის სიმკვეთრე უმწვერვალეს ხარისხს აღწევს ბუკოვინაში. დეპეშის გადმოცემით ჩერნოვიცის ჩრდილოეთით მკაცრი და ულმობელი ბრძოლაა. მოხსენებული გვქონდა, რომ გერმანელებმა და ავსტრიელებმა სხვა და სხვა ადგილიდან ჯარები წაიყვანეს და აქ დააგროვეს. აქვეა ჩამოყვანილი, როგორც ამბობენ, ერთი წილი იმ ჯარისა, რომელიც, სერბეთის ასპარეზის მოთავების შემდეგ, განთავისუფლდა და რომელიც გენერალ მაკენზენის განკარგულებაში იყო. კერძო დეპეშების ცნობით, მაკენზენი და მისი შტაბი ჩერნოვიცაშია და ბრძოლას ხელმძღვანელობს. ავსტრიელები და გერმანელები დიდი ძალით აწვებიან ტარნოპოლ-როვნოს მიმართულებით. რუსული კერძო წყაროები ირწმუნებიან, მოწინააღმდეგეთა ეს შემოტევა შეჩერებულ იქმნაო. აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც სხვა და სხვა წყაროს ცნობების მიხედვით ერთნაირად არის დადასტურებული. მარმარილოს ზღვაში გერმანეთის წყალქვეშა ნავები გამოჩენილან. თუ ეს ამბავი მართალია, ეჭვი არაა ეს გემები შავ ზღვას ესტუმრებიან. სხვა დანიშნულება მარმარილოს ზღვაში შემოსულ გერმანელ წყალქვეშა გემებისა წარმოუდგენელია.

შავ-ზღვის ნაპირას ოსმალები რამდენიმედ წინ წამოწეულან, რადგანაც მათთან რუსების შებრძოლება მომხდარა სოფელ პატაჯურთან.

არავითარი ცნობა არ მოსულა ვანის რაიონში ბრძოლის შესახებ აქ რამოდენიმე შეტაკება მოუვიდათ რუსებსა და ოსმალების რეგულიარ ჯარები-

სპარსეთის შესახებ დეპეშას არავითარი ცნობა არ მოუტანია.

ცნობები არა გვაქვს აგრეთვე სალონიკის რაიონის შესახებც.

მეგრი.

თბილისი, 25 ქრისტეშობისთვე.

აღმოსაფხვრელი უკულმართობა. ძველი პსიხოლოგია თავის მავნე მოქმედებას დღესაც განაგრძობს. თავი რომ გავანებოთ უსწავლელს, განათლებული ქართველიც ასხვავებს სხვა და სხვა კუთხის ქართველობას და თავის სიმპატიას ერთ მხარეზე ჰხრის. განსაკუთრებით ამერეთში გაისმის უკმაყოფილება და სამდურავი იმერთა მიმართ. ამის საილიუსტრაციოდ გავიხსენოთ ბ-ნ პეტრე მაჭავარიანის წერილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩვენი გაზეთის 175 ნომერში.

ეს კიდევ არაფერი. ქართველობის კუთხობრივი დანაწილება და ერთმანეთისადმი დაპირისპირება კიდევ უფრო შორს მიდის. სამეგრელო გურიას ეპირისპირება და ქიზიყი—თელავის მაზრას. საერთო საქმის გაკეთების დროს, თავს იჩენს ეს მაზრული პატრიოტიზმის პსიხოლოგია, რომელიც ქიშპსა და არევდარევას ბადებს. თელავის „კავშირის“ დამფუძნებელი კრება ამის ცოცხალ მაგალითს იძლევა.

ეს პსიხოლოგია ძველთაგანვე მოგვდევს. იგი ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრების ნაანდერძევია. ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შემუშავდა **ერთი საქართველოს** ცნება, ვერ შემუშავდა ქართველის კულტი, რომელიც ყოველგვარ უბნისა, მაზრისა და კუთხის მაღლა იდგეს და თანაბრად საყვარელი და სათაყვანებელი იყოს ყოველი კერძო ქართველისათვის. ქართველობის პსიხოლოგიური დაქსაქსულობის აღმოსაფხვრელი ნაშთები დღესაც ცოცხალია. ეროვნების ზოგადი შემეცნება სავსებით ვერ არის განსახიერებული. მემკვიდრეობით მიღებულმა ნაკლმა, რომელსაც ქვეყნისთვის მხოლოდ დასუსტება და დაძაბუნება მოაქვს, ჩვენში ახალგაზდა დამხმარე და მოკავშირე იშოვა სოცია-[illegible]

სოციალიზმმა მთელის სიმწვავით წამოაყენა კლასური ანტაგონიზმი; მან ერთად ერთ სინამდვილედ და კაცობრიობის წინ წამწევ ფაქტორად კლასთა ბრძოლა დასახა, ეროვნული მთლიანობის ცნება უარჰყო, შეუძლებლად იცნო სოლიდარობა ერის სხვა და სხვა ნაწილ შორის. იგი ამკვიდრებდა და ამკვიდრებს ჩვენში კლასურ პსიხოლოგიას და იდეიურ გათიშულობას. ამ მოძღვრების ფოკუსში მოსჩანს კლასი და არა ერი.

სოციალიზმი არსებითად არღვევს ეროვნულ იდეის სინტეზს იქ, სადაც ეს სინტეზი უმწვერვალესად განვითარებულია და განმტკიცებული და ხელს უშლის მთელი თავის ცნებით ამ გვარ სინტეზის შექმნას იქ, სადაც ჯერ კიდევ, სხვა და სხვა ისტორიულ-პოლიტიკურ მიზეზის გამო, ასეთი სინტეზი არ მომხდარა, და ის პარტიები, რომლებიც ჩვენში სოციალიზმისა და კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დგანან, ამ 15—20 წლის განმავლობაში სწორედ **საქართველოს** ცნების შექმნას ებრძვიან და არსებითად იმ დამღუპველ პსიხოლოგიას ჰქმნიან და განამცკიცებენ, რომელსაც ჩვენი ქვეყანა არა ერთჯერ მიუყვანია დაღუპვის პირამდე. სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკას არ ძალუძს ეროვნული იდეალის შექმნა, სამშობლოს კულტის წარმოშობა და თაყვანისცემა, ხოლო უამ კულტოდ და უამ იდეალოდ შეუძლებელია სინტეტიური ცნება-ეროვნების ბატონობა, შეუძლებელია უნივერსული ეროვნული იდეის მეუფება, მისი სულიერი და ქონებრივი შემოქმედება. მომავალი ახალგაზდა საქართველოს პირველი მორიგი საკითხი—ამ ძირითადი უკმაყოფილების აღმოფხვრაა.

პრესის მაგიერ

საქართველოს მიწა-წყალს სხვა და სხვა ხერხით უცხო ტომისანი ისაკუთრებენ. შექმნილ რეალობის მიხედვით „ეროვნული სოციალისტები“ საქართველოს ტერიტორიას მათ უთმობენ, ვინც მას კანონიერად, თუ უკანონოდ დაჰპატრონებია. ამ ეროვნულ სოციალისტების „პროგრამით“ სამი უძველესი მაზრა საქართველოს საზღვრებიდან გამორიცხული არის. ეს თეთრზედ შავად არის დაწერილი ამ ეროვნულ სოციალისტების მიერ. უარყოფა შეუძლებელია. ჩვენი მამულიშვილური მოვალეობაა ამას შეუბრალებელი ბრძოლა გამოუცხადოთ. ჩვენი მამულიშვილური მოვალეობაა შემდეგში მაინც შეუძლებელი გავხადოთ ჩვენი მიწა-წყლის სხვათა ხელში გადასვლა და ახალი „რეალი მოსახლეობის“ შექმნა. ასე უნდა მოიქცეს ვინც გულწრფელად ემსახურება სამშობლოს და სწამს ეროვნული იდეის უზენაესობა და მისი აბსოლუტური თვით-კმარობა.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სამი ფაქტი, სამივე სოხუმის ქალაქის თვითმართველობას შეეხებოდა. ყველაზედ უფრო აღმაშფოთებელი იყო ის, რომელიც მოწმობდა, რომ სოხუმის ქალაქის ქართული თვითმართველობა ოფიციალად შუამდგომლობდა ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა **ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს უფლება მისცემოდათ სოხუმის ოლქში კერძო საკუთრების შეძენისა.** სოხუმის ოლქი ის ოლქი გახლავთ, საითკენაც არის მიმართული მეგრელთა საკოლონიზაციო მოძრაობა და საიდანაც მთავრობის გარუსების პოლიტიკა ათობით აჰყრის ხოლმე დასახლებულ მეგრელთა ოჯახებს. ამ გვარად, **ქართული** ქალაქის თვითმართველობა, სადაც უმრავლესობას ქართველი ხმოსნები შეადგენენ, **ოფიციალ დეპეშების საშუალებით** ცდილობს საქართველოს ტერიტორიაზედ დაამკვიდროს უცხოელები; იგი ჰქმნის ახალ „**რეალ მოსახლეობას**“; საე რომ ჩვენმა „ეროვნულმა სოციალისტებმა“ იმავ პრინციპის ძალით, რომლის მიხედვითაც მათ საქართველოს სხეულს დღეს სამი მაზრა ჩამოსჭრეს, ხვალ მას სოხუმის ოლქიც უნდა ჩამოსჭრან. ამას ნუღარ ვიკვირვებთ, რომ დასახელებულები თავის მხრივ ყოვლის შემძლედ გამოიყენებენ „fait accomplis-ის პრინციპს.

სოხუმის ქალაქის თვითმართველობის საქციელი სხვაგან მთელ პრესას ალაპარაკებდა და საზოგადოების საერთო ზიზღის და ლონისძიების საგნად გადაიქცეოდა. ჩვენში ასე არ მოხდა. ჩვენში სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ბატონობაა. ქართული პრესის დიდი ნაწილი სოციალისტურია და ამას ყურადღებას არ აქცევს. სხვა სოციალისტებისგან თავის თავს განირჩევს ეგრე მონათლული „ეროვნული სოციალიზმი“ რომლის [illegible]

ებია: „სახალხო ფურცელი“ და „მეგობარი“. ამათ თავი მოაქვთ ეროვნების დიდ მოამაგედ და ეროვნულ საქმის დამცველად. არის ეს ასე, პირდაპირია მათი საქციელი, არიან თუ არა გულახდით, გადაჭრით, მიუკიბვ-მოუკიბავად ეროვნებისა და ეროვნული საქმის დამცველები **უწინარეს ყოვლისა?!** პრაქტიკულ ცხოვრებაში და კერძო-კერძო ფაქტებისა და მოვლენის გარშემო ეს არ მტკიცდება. სხვას არ გამოუდგებით, აქ მოვიტანთ სოხუმის მაგალითს, რომლის გამო „სახალხო ფურცელმა“ თავის გუშინდელ პრესაში თავის აზრით გალმა გამოგვედავა. „სახალხო ფურცელი“ სოხუმის თვითმართველობის სამი საბუთიდან, მხოლოდ იმას შეეხო, სადაც ახალი ადმინისტრატიული განაწილების პროექტი იყო წამოყენებული, ხოლო გაუჩუმდა იმ საბუთს, რომელიც გვაუწყებდა სოხუმის თვითმართველობის ოფიციალ დემარშებს, რომ სოხუმის ოლქში კერძო საკუთრების შეძენის უფლება ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებს მინიჭებოდა? გაუჩუმდა,—რა მოსაზრებით? ხომ იცის რომ დღეს აუარებელი სომხობა გადმოიხვეწა საქართველოში, რომ მილიონები ტრიალებს სომხების ხელში და სოხუმის ოლქში კერძო საკუთრების შეძენის უფლება რომ ხელთ იგდონ, ხომ შეისყიდეს აუარებელი მიწა, ხომ დასახლდნენ და მოეწყვნენ იქ?! განა ამგვარივე გზით არ მოხდა ახალქალაქის მაზრის დაპყრობა და აღება?! მაშინ რეალი მოსახლეობის პრინციპით ქალბატონმა „სახალხო ფურცელმა“ ხომ უნდა ხელი აიღოს სოხუმის ოლქზედაც!!. თუ ამ გვარი ხიფათია მოსალოდნელი, ერთი გვიბრძანეთ, რად გაჩუმდით და წაიყრუეთ ეროვნულად ყველაზედ უფრო საყურადღებო პროექტი სოხუმის თვითმართველობისა?! ეს სიჩუმე თქვენი დანაშაულია. ასეთი უპირდაპირობა, ორჭოფობა და ორმაგობა, ქართული საქმის გულშემატკივრის სამწუხაროდ, ეგ არის განა პროგრამა?!. თქვენ ამდენი წელიწადია არსებობთ და ვერ ჩამოქნილხართ. შეუძლებელია პოლიტიკური პარტია არსებობდეს პრინციპიულ ორპირობისა, და ორჭოფობის ნიადაგზე.

ახალი ამბავი

მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, სადარბაზოდ იყო მათ უწმინდესობა ნესტორიანთა პატრიარქ მარში მუნნთან.

— **ქალაქის ექიმი** ბ-ნი ელიაშვილი სამსახურიდან გავიდა.

◆ **ტატიანეს დღეობა.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მისი უმაღლესობის ტატიანე ნიკოლოზის ასულის დაბადების დღის აღსანიშნავად აჭარაში მისი უმაღლესობის სახელობის სკოლასა ხსნის 12-ს იანვარს, იმ უხვ შეწირულობისა გამო, რომელიც საზოგადოებას აღმოუჩინა მის უმაღლესობის მფარველობის ქვეშ მყოფმა კომიტეტმა.

◆ **არაჩვეულებრივი კრება** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა „ახალ კლუბის“ დარბაზში ზეგ 27 ქრისტეშობისთვესაა დანიშნული.

◆ **სკოლის კურთხევა.** კვირას 27 ქრისტეშობისთვეს შუადღის 12 საათზე ხარფუხში სუფსარქისის ქუჩაზე № 48 დანიშნულია „განათლების“ საზოგადოების სკოლის კურთხევა.

◆ **შესაწევარი ფულის დარიგება.** კვირას, 27 ამა თვეს, პირველ საპოლიციო უბნის სამზრუნველოს თავმჯდომარე ბ-ნი კეილი ქალაქის შრომის ბირჟის ბინაზე შესაწევარ ფულებს დაურიგებს იმ ჯარისკაცთა სახლობათ, რომელთაც ასეთი შესაწევარი კანონით ერგებათ და ჯერ არ მიუღიათ.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს წევრი** ბ-ნი პაპაჯანოვი ბაქოს გაემგზავრა.

◆ **წითელ ჯვრის** მთავარი რწმუნებული ბ-ნი გოლუბევი დაბრუნდა თბილისს პრინც-ოლდენბურგის გაცილების შემდეგ.

◆ **მიემგზავრება** დღეს პეტროგრადს არქ. პიროსი, სადაც მიტროპოლიტ პიტირიმისაგან ხელდასხმული იქნება ეპისკოპოსად. თბილისში ნაახალწლევს დაბრუნდება ახლად დანიშნულ საქართველოს ექსარხოს ყოვლად უსამღვდელოესს პლატონთან ერთად.

◆ **უმაღლესი ჯილდო.** სიონის საკათედრო ტაძრის დეკ. გ. ასათიანი უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნა ვლადიმერის მე-4-ე ხარისხის ჯვრით.

◆ **საგანგებო კრება.** კვირას, 27 ამა თვეს, დილის 11 საათზე, „ახალი კლუბის“ დარბაზში შესდგება ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. საჩქაროდ გადასაწყვეტია მთავარ გამგეობის მოხსენება წესდების შევსების შესახებ ისე, რომ საზოგადოებას უფლება ჰქონდეს უძრავი ქონების შეძენისა და სკოლების გახსნისა.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოება.** 20 ამა თვეს დაბა სამტრედიაში შესდგა კრება, რომელსაც დაესწრო 25 კაცი. კრებამ ერთხმად დაადგინა გაიხსნას სამტრედიაში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. მაშინვე იქმნა მიღებული განყოფილების გამგეობა, რომელშიაც წევრებად შედიან: თავ. ლ. ბ. მიქელაძე (თავჯდომარე), პ. პ. გელეიშვილი (თავჯდომარის ამხანაგი), ა. ბ. კორზაია, თ. ვ. ჯაყელი, მღ. ს. ა. ხუნდაძე, ი. გ. კიბაბიძე და ვ. თ. პაპავა; მათ კანდიდატებად—მ. ბერძნიშვილი, ილ. გეგია და ნ. კიკაჩეიშვილი, სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ლ. კ. დავითაია, რ. გ. მიქაძე და ბ-ნი არ. ავალიანი.

◆ **სასურსათო დახმარება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას დღემდე 200 ათას ფუთი ხორბლისა და ფქვილის მთხოვნელი ჰყოლია. ამ რიცხვში საზოგადოებას დღემდე ასიათასი ფუთი გამოუწერია მხოლოდ.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი კრება გაიმართება ხვალ, 26 ქრისტეშობისთვეს, სრულ შუადღის 12 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში. კრების წესრიგი: 1, მორიგი საქმეები (სხვათა შორის რწმუნებულების არჩევა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირში), 2, კ. ფოცხვერაშვილის მოხსენება: „თანამედროვე სარწმუნოებრივი მდგომარეობა ქართველი ერისა“ და 3, კამათი მოხსენების შინაარსის გამო.

ქუთაისი.

◆ ქუთაისის ძველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ამ სადღესასწაულოთ ღარიბებს მცხოვრებლებს დაურიგა საჩუქრები.

◆ 6 იანვარს, ქუთაისში ხელმეორედ წარმოადგენენ ჩვენი მგოსნის ალ. შანშიაშვილის ცნობილ პიესას „უგვირგვინო მეფენი“.

◆ 3 იანვარს ქუთაისის კომერციულ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება „შობის ხე“ ამავე სასწავლებლის მოწაფეებისათვის.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა და ქალაქის მოურავმა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის რწმუნებულს გამოუგზავნა 58 ფუთი სადღესასწაულო საჩუქარი კავკასიის ჯარისკაცებისათვის.

◆ 21 ამ თვეს ქართულ გიმნაზიაში გამართულმა საღამომ კარგად ჩაიარა. შემოსავალი დარჩა 1,500 მან.

◆ მეფის ნაცვალმა კომერციული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეთ დაამტკიცა ი. გ. კემულარია.

თელავი.

როგორც გადმოგვცეს კახეთის წვრილ კრედიტის კავშირის დამფუძნებელი კრების დადგენილებანი ექვს რწმუნებულს განუსაჩივრებია. მიზეზად დასახელებულია კავშირში ახალ ამხანაგობათა წევრად მიღება დამფუძნებელ კრებაზე. მომჩივარნი წესდების მე-9 მუხლს ემყარებიან.

ხონი

— კვირას, 20 ქრისტეშობისთვეს შესდგა ყრილობა რკინის გზის გამოყვანის შესახებ. ხონის ბოქაულმა გამოუცხადა მცხოვრებლებს; ქუთაისის გუბერნატორისაგან განკარგულება მივიღე, სამტრედიიდან— ხონამდის აუცილებელია რკინის გზის გამოყვანა, ამისათვის თქვენ უნდა დაუთმოთ ადგილი ბაქანის ასაშენებლათ. მცხოვრებლებმა ერთხმად გადასწყვიტეს ადგილის დათმობა.

— სხვათა შორის ყრილობაზე მეფურნეებმა ითხოვეს პურზე „ნიხრის“ მომატება. მცხოვრებლებმა თხოვნა არ შეასრულეს.

შეცდომის გასწორება.

სამშაბათის ნომერში იყო მოთავსებული, რომ ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრად ასახელებენ ექიმ ვ. წერეთელსაო. უნდა იყოს: მასწავლებელ **ს. წერეთელს.**

სოციალისტური აზროვნების შედეგები

III

საქართველო შეეჩვია ამ სოციალიზმს. ჩვენში მომქმედი პარტიები გმობდენ და ებრძოდნენ კერძო საკუთრების პრინციპს, რომელიც მშრომელ ხალხის უბედურების სათავედ იყო დასახული. აშკარაა, სოციალიზმის მოძღვრები ქართველ ერს ვერც ეროვნულ საკუთრების დაცვა-საჭიროებას [illegible] და ვერც ჯან-გაუტეხელ ზრუნვას ამ საკუთრების შესანარჩუნებლად, მით უმეტეს რომ თვით **ეროვნება** საკამათო ღირებულებად და წარსულის სამწუხარო და აღმოსაფხვრელ ნაშთად იქმნა მიჩნეული. თეორიაში საკუთრების უარისმყოფელნი, ცხოვრებაში არავითარ პრაქტიკულ ღონისძიებას არ ეწეოდენ ეროვნულ საკუთრების დასაცავად, რომელიც მათ თვალწინ ნიავდებოდა. ამ გვარად კერძო საკუთრებას, და საერთოდ, ეროვნულ საკუთრებას საქართველოში იდეიური დამცველი არ გამოუჩნდა. არავინ იძლეოდა მის არსებობის ზნეობრივ გამართლების საბუთს. ქვეყნის ფსიხოლოგია შეურიგდა საკუთრების დაკარგვას. შეიქმნა იდეოლოგია ბედთან შერიგებისა, იდეოლოგია პასივიზმისა. ამ გარემოებამ დიდი ეროვნული უბედურობა დაატრიალა. მიწები სხვის ხელში გადადიოდა, თან და თან შეიქმნა ახალი რეალი მოსახლეობა, რომელიც, მტრებზე ადრე, ისევ ჩვენმა სოციალისტებმა გამოიყენეს საარგუმენტაციოდ, თავიანთივე ქვეყნის ეროვნულ უფლებისა და ტერიტორიის წინააღმდეგ.

საქართველოში გაბატონდა სოციალიზმი,—მოძღვრება, **რომელიც ვერ ჰქმნის ვერავითარ იდეიურ ვალდებულობას და დასაბუთებას ეროვნულ საკუთრების დასაცავად.** ამის შედეგებმა სიმახინჯის ყოველი საზღვარი გადალახა: სოციალისტური გაზეთი „მეგობარი“ და მისი პუბლიცისტები, იმ-ამი, გ მაიაშვილი, გ. გველესიანი და სხვანი, სოციალისტური გაზეთი „სახალხო ფურცელი“ და მისი პუბლიცისტები: სიტყვა, შინაური, ჯაჯანაშვილი და სხვანი, დაჩვეულნი უკანონო ბატონობას, წარბ-შეუხრელად საჯაროდ აცხადებენ: რეალ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით საქართველოს უნდა ჩამოეჭრას სამი მაზრა: ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოსიო.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტ-ავტონომისტების „ეროვნულ-პოლიტიკურ“ „პროგრამის“ ძალით საქართველოს საზღვრებში არ შევა ეს სამი მაზრა, სადაც საქართველოს კეთილდღეობასა და ვაი-მწუხარებას წარუხოცელი კვალი და ნაშთი დაუტოვებია. პლებისციტის მომხრენო, ვინ მოგცათ უფლება ერის დაუკითხავად ეროვნული საკუთრების გაბოძებისა?

შეურიგებელია დოკტრინულად შეცნობილი ინტერნაციონალიზმიც. გულუბრყვილო და ხანგრძლივ გონებრივ ცხოვრებასა და გამოცდილებას მოკლებულ ერში, ასეთი ინტერნაციონალიზმი ისტორიულ გულჩვილობამდე აღწევს, როგორც ეს დათიაშვილებს მოსდით ხოლმე. ასეთი ინტერნაციონალიზმის პსიხოლოგიური ბატონობა შეუძლებელს ჰხდის გარემოებისა და პირობების ცივს მეცნიერულს ანალიზს, შეუძლებელს ჰხდის სად რეალ პოლიტიკის წარმოებას. **ამგვარ** ინტერნაციონალიზმის ძალით, ერი ჰკარგავს თვითგანმტკიცების და სუვერენობის უფლებას თავის საკუთარ სამკვიდრებელის საზღვრებში!

ჩვენებური დასელობა, როგორც ჭეშმარიტი სოციალისტური მიმართულება, ნამდვილი ინტერნაციონალისტურიცაა. ამ მიმართულების ორგანო „თანამედროვე აზრი“ და მისი ბელადი-პუბლიცისტი, ბ-ნი ანი, ეყრდნობა საქართველოს ამავ რეალ მოსახლეობას, მის დღევანდელ რეალ ეთნოგრაფიას და მას გამოიყენებს არა იმისთვის რომ „შეიმუშაოს“ პროგრამა საქართველოს სხეულიდან სამი მაზრის ჩამოჭრისა (ეს „ეროვნულმა“ სოციალიზმმა დაასწრო!), არა! საქართველოს აწინდელ რეალ ეთნოგრაფიას ბ-ნი ანი გამოიყენებს უფლებრივ-ნორმატიულის მხრივ და ქართველ ერს პოლიტიკურ თავისუფლება-სუვერენობის უფლებას უქარწყლებს და უნიავებს. იგი წარბშეუხრელად გაიძახის, საქართველო ეთნოგრაფიულად მეტად აჭრელებულია, თბილისის გუბერნიაში ქართველობა უმცირესობაა... ამისთვის... ეროვნულ - ტერიტორიულ ავტონომიას ვერ მოვითხოვთ, არ გვერგებაო. ხალხის ხმის მოთაყვანევ, ერის დაუკითხავად, რა უფლებით ილაშქრებთ იმ პოლიტიკურ ფორმის წინააღმდეგ, რომელიც მისი ეროვნული თავისუფლების ერთად ერთი გარანტიაა? საკუთარის გატაცების პსიხოლოგია რამ მოგცათ? ნუ თუ ინტერნაციონალიზმმა, რომ

სხვა

არ დავჩაგროთ, და ამის შიშით დაჩაგრულთან ერთად თქვენი თავიც დაიჩაგროთ! კლასთა ბრძოლის წითელი დროშის მაფრიალებელს ასეთი ზექრისტიანული სათნოება რაღაც არ უდგება. მაგრამ, ამ შემთხვევაში, სჩანს, მოქმედებს ძალა, რომელსაც ჰქვიან [illegible]

კონტრასტ[illegible]ლამაზის უკაცრაული სიტყვა [illegible]ზენური სიყვარული!

ს. კ—დია.

შობა ქრისტესი

დღეს მსურს ვილხინო.
გულს შვება მივცე. გავმხიარულდე.
მსურს განვიცადო ჩვენი წარსული და დავსტკბე ოცნებით.
შობაა დღეს ქრისტესი. შობა იმედის ჩაგრულთათვის.
შობაა გულიდან ამოსკვნილ ახალ გრძნობისა.
შობაა მწარე დუმილში ჩასახულ მომავალ მზის შუქისა.
შობაა მძლავრის შეუპოვარის სულით აღძრულ ახალი ქართველისა.
შობაა ჩამაცის, მედგრის, გონებით ფხიზლის ქართველ ვაჟისა.
შობაა ახალ ეროვნულ ხანის.
ერის გამარჯვების.
ერის დღეგრძელობის.
თუ მაინც და მაინც შავნი ფიქრნი არ მშორდებიან,
სურთ გლოვა ბოლმით დღევანდელი დღე მომიშხამონ,—
მაინც არ ვსცხრები.
რაღაც განგება მშობლიურის ხმით გულს ჩამჩურჩულებს:
ბედი ქართლისა ისევ აღსდგება.

ჯუანშერ.

სხვა შობას ველით

მზე გვინათებდა და გვემულ ტანზე სითბოს გვაფენდა, მთვარე წყვდიადსა ჩვენს გარშემო ლანდადა ჰქმნიდა, ვარსკვლავთა გუნდი საიდუმლო ღიმილს გვაყრიდა და მაინც ჩვენს გულს შავი ოხვრა არ ჰშორდებოდა.

გონების ცაზე სქელი ჯანღი გადაგვდებოდა და ცხოვრების გზას უკუნეთი ელობებოდა.

ის დაიბადა. გონების ცასა ჯანღი აშორა და სათნოების შუქი მოჰფინა. ჩვენს დაკოდილ გულს წამლად დაედვა და მძაფრი ტკივილი დაგვიამა...

ის აღარ არის. შუქი დარჩა, გონების ცაზე ზედ გადიქცა და წინ გაგვიძღვა, მაგრამ ბურუსი გადაეფარა და გზა აგვებნა. გულსა ტკივილი აეშალა... შუქი ძლიერი მოგონებალა გადაგვექცა...

სხვა შობას ველით...

ინ-ზანი.

ვაჟია!

მახსოვს ერთი სურათი.

შარა გზის ნაპირად, პატარა, კოხტა ფაცხიდან გლეხკაცი გამოვარდა. ხელების ქნევით, აღტაცებული, ცრემლ მორეული გაიძახოდა:

ღმერთო, უფალო, გმადლობ... გმადლობ! ვაჟია, ვაჟი!

— ეშველა ჩვენს ყარამანს, ეშველა. ვაჟი ეყოლა,—გაიძახოდა, მახლობელ დუქნის გარშემო, შეგროვილი ხალხი.

— მა რა, დალოცვილს ქოხი ქალებით გაევსო... მარტო ხელა კაცი და ხუთი მჭამელა ქალი. კაი მამულის პატრონი, მხნე და მუშაკი და აქნობამდის უვაჟო!—მოსთქვამდა აქა-იქ ხალხი.

ეს უბრალო ამბავი მაგონდება ერთს ჩვენს მეგობარ თათრის გახუმრებაზედ: ქართველის ოჯახი დღეს ქალებით გაივსო. კაი ხანია მას ვაჟი არ გასჩენია... ქართველი ერის უკანასკნელ დროის მმართველმა ინტელიგენციამ ქალური პოლიტიკა გაამეფაო: ყველას რევერანსები გრაციულ უკან დახევით და მხიბლავი ღიმილით მოპატიჟება:

მობრძანდით, დაბრძანდით, მიირთვით!

მართლაც ყველანი დიდის ხალისით, ჩვენს მშვენიერს ქვეყანაში მოდიოდნენ. ქართულ ლუკმას მადიანად მიირთმევდნენ და მოხიბლულნი ქართულ „ქალურ მომღიმარ პოლიტიკით“ წასვლაზე აღარ ფიქრობდნენ.

ქართული პოლიტიკური ოჯახი „ქალებით„ გაივსო:

სოციალისტ რევოლიუციონერებით.

სოციალისტ დემოკრატებით.

სოციალისტ ფედერალისტებით.

მოეჩვენებოდათ ვინმე განომელელი ლამაზ კაცად, შეიყვარებდნენ, გაჰყვებოდნენ და თანაც მიჰქონდათ ქართული მამულის ეროვნული დოვლათიც.

ერთნი გაჰყვნენ ძველ რუს ნაროდნიკებს.

მეორენი რუსეთის მუშათა პარტიას.

მესამენი ჯერ-„ტრუდოვიკებს“, მერმე „დაშნაკცაკანებს“.

და თან მზითვად მიართვეს—პირველებმა ქართულ-ეროვნულ - პოლიტიკურ იდეის სრული უარჰყოფა, მეორეებმა—უარჰყოფა ნახევარ საქართველოსი.

ქართულ ოჯახის და მამულის ნამდვილი პატრონნი კი—ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა ამ მუქთა-მჭამელა პოლიტიკურ ქალაბიჭებით დაუძლურებულნი, ღონე მიხდილნი ოცდაათი წელიწადი მწარედ მოსთქვამდნენ:

„როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება“?..
„მამულო საყვარელო შენ როსღა აყვავდები“?..

მოსთქვამდნენ და ნატრობდნენ იმ ვაჟის დაბადებას, რომელსაც შეეძლებოდა ქართველ ერის ოჯახის გაღვიძება, გაღონიერება და მამულის აყვავება.

ამ დიდებულთ, მამულის პატრონთ, სიცოცხლეში არ ეღირსათ მათ ნაშობ სანატრელ ვაჟის ხილვა.

ეროვნულ-დემოკრატიულ დიად მოძღვრებასა!

ეს ვაჟი მათ მერე დაიბადა.

პაწია, შეკუმშული, უძლური და უსახო.

მაგრამ იგი არა ბუნებრივად, ზღაპრულად იზრდება ისახება, და ტანსაც ისხამს.

და დიად იმედებსაც იძლევა: ქართულ მამულის მოვლისა, გაერთიანებისა, თავგანწირულ დაცვისა და აყვავებისა.

და ჩვენც ამავე დიდის იმედით და ღრმა რწმენით, დღეს, დიად შობის დღეს, ჩავძახებთ ჩვენს დიდებულ წინაპართა საფლავებს.

თქვენი ნატვრა აგისრულდათ... თქვენს ძვირფას მამულს მემკვიდრე ეყოლა.

ვაჟია იგი!

ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ ჯანსაღი—ქართული ეროვნული მიმართულება.

ნუღა გეშინიათ.

ხვალ იგი ვაჟკაცად იქცევა.

ეკალი.

შობის ხე

(ქრონიკერის დღიურიდან)

შობის წინა დღით, ბევრგან ვიყავ მიწვეული შობის ხეზე, მაგრამ არჩევანი ვაკუთვნე ერთ მისაპატიჟ ბარათს, რომელიც მომივიდა სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გამგისაგან—ექიმ გე—ვა—ლი—საგან. რომელიღაც ფიზიოლოგისაგან გაგებული მქონდა, რომ ყველა ჩვენგანში ერთგვარი სულით ავადმყოფობა ბუდობსო და ამისათვის ამ მიწვევამ უფრო დამაინტერესა და საღამოს 9 საათი იქნებოდა უკვე, რომ ჩემი ეტლი თავშესაფართან გაჩერდა.

კარებში ექიმს შევხვდი და მკლავგაყრილნი კიბეებს მუსაიფით შევყევით, დარბაზის კარის ბჭეში, საცა შობის ხე უკვე გაეჩირაღდნებინათ ქალაქის მოურავი ბ-ნი ხატისოვი შემოგვეგება ფრაკში გამოწყობილი დიდი თაიგულით ხელში, პენსნე გაისწორა, რევერანსი გაგვიკეთა და აღტაცებული სიტყვით მოგვმართა „შობის ხის“ დიად მნიშვნელობაზე და მის უმეჭნარ ტოტებზე.

— ამას აქ რა უნდა, განცვიფრებით შევეკითხე ექიმს.

— ყურს ნუ უგდებთ, ეგ ბ-ნო ერთგვარი სულით ავადმყოფია. მამლის ყივილისას მომიყვანეს. გაუთენებლივ, მამლებისთვის „დედლების საკითხზე“ ოთხი სხვა და სხვა შინაარსის სიტყვა უთქომს. ჩემს მსახურთაც ოთხი სიტყვით მიმართა „ლაქიობის“ საკითხზე. ეს შენი 8 სიტყვა და აი როგორც ხედავთ ჯერაც არ მოღლილა. შევედით დარბაზში, მთლად გაჩირაღდნებულს ელექტრონის სინათლით. მთელი მილეთის ხალხი აქ ირეოდა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. ვინ გინდათ იქ არ იყო ქალი თუ კაცი.

— ამ ქალებს, ჩვენს მანდილოსნებს რაღა უნდათ? შევეკითხე ექიმს.

— რა მოგახსენოთ, რაღაც ეშმაკ თამაშობას აუშლია ნერვები და მთელი დღე გაჰკივიან: „დავოლნო, კონჩილა, პროდანო 200 კარტ სპოკრიტიემ ვსეხ ნომეროვ“.

— ბ-ნო ექიმო ამ ყასბებს რაღა უნდათ.

— ღმერთმა ნუ იცის, ქვეყანა ლამის არის ლეშით აივსოს, ეგენი კი გაჰკივიან ხორცი გაძვირდაო.

— ამ ვაჭრებს?

— ქალაქის ნიხრზე გადასეულნი არიან, ძლიერ ძვირად ადგენენ ნიხრსაო, მაშინ როცა ჩვენ უფასოდ ვმალავთ საქონელსაო.

— ქალაქის გამგეობის წევრებს?

— სიხარულის ელდაზე—ტრამვაის გადასვლის შემდეგ, მათ ხელში.

— სოლოლაკელებს?

— მაგათაც სიხარულის ელდაზე—ქართველები ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებსაო.

— კარგით და არჩ. ჯაჯ—შვილს მაგათთან რაღა კავშირი აქვს ან ბ-ნ სიტყვას და K-°. რათ ეარშიყებიან სოლოლაკელებს.

— მაგათ კი ბოლშისაგან მოუვიდათ. ასეთ უაზრობაში როგორ ჩაუვარდით, წინეთ სისხლს ვსვამდით ეხლა კი ჰირსა ვჭამთო და თანაც აღარც კი გვენდობიანო.

— ბიჭოს ამ თ. ღლონტს რაღა უნდა. ეგ ხომ სულ ახლად გამოჩეკილი გასტროლიორია ტფილისის პრესაში. ვკითხე ექიმს.

— დასწყევლოს ღმერთმა, დიდმის მინდორზე დამჯდარიყო და გამვლელ-გამომვლელს შესჩიოდა, ნაპალეონისებრ.

თვით ეს ალაგი მეეწროვოს
საწერ-საჯღაბნათ
თუ ტოლი მყავდესო!...

მგონი მანია გრანდიოზით უნდა იყვეს შეპყრობილი. მაგრამ საბრალოს ტოლი კი ჰყავს.

— ვინა? დავინტერესდი.

— აგერ თავის თვალა ლურჯ აკოლიშიანი რომ ელაპარაკება ღლონტს.

— ის ხომ ამაღლებულია ვუპასუხე ექიმს.

— დიახ ამაღლობელი გახლავთ.

— მაგას რაღა უნდა აქ?

— სწორე მოგახსენოთ მაგის ოხრობას რომ მოგიყვეთ დღეს ვერ გავათავებ. სჯობს მოკლეთ გადმოგცეთ. ეგ ჯერ ახალ კლუბის ნაგვის ყუთში ეპოვათ, მერე ხარფუხისაში მეეზოვეს ამოეყვანა და პოლიციაში წაეყვანა. იქ ჩვენების დროს გვარი და სახელი დაემალა. თვის სახელ „ლექსია“-ს მაგიერ „ბოდვა“ ეთქო და გვარ „ლექსის“ მაგიერ „ჩმახვა“. ეხლა აქ მოიყვანეს და თვალყურის სადევნებლად თვის ტოლ ღლონტს ჩავაბარე და როგორც ვატყობ მშვენივრად თავსდებიან. ხოლო ხანდისხან ჩხუბი მოსდით აი იმათ გვერდით მდგომ ახალგაზდებთან, აი ერთს, რომ მათრახიც უჭირავს და მეორეს ზურგიელის ნაჰერი.

— მაგათ რაღა უნდათ ეგენი ხომ ეშმაკი და თაგუნაა.

— აი, წარმოიდგინეთ რაში გამოიხატება მათი ავადმყოფობა: თბილისში გეხსომებათ „ორიანტის“ ქვეშ ორ ქონდრის კაცს აჩვენებდნენ რადიკასა და დოდიკას: ერთი რომ სჭამდა მეორე ძღებოდა, ერთს რომ ეძინა მეორეც იძინებდა. ეგ ეშმაკისა და თაგუნას საქმეც ეგრეა მოწყობილი, ერთი რომ ხატავს მეორე სტკბება, მეორე რომ ჩმახავს პირველი დნება სიამოვნებით. მათი მათრახი ბოლქვაძიანთ სტამბის იქით თურმე არა სწვდება და ეშმაკსაც ზურგიელიძიანთ დუქნის იქით. სცხოვრობენ ესე კმაყოფილნი ერთი მეორით, იმიერიდან და ჟამუკუნეთამდე...

ამ დროს გაისმა მუსიკის ხმა და ლეკური დაუკრეს. გაიღო მეორე ოთახი და დარაზმული რიგ-რიგად გამოვიდნენ ნამდვილნი სულით ავადმყოფნი შობის ხის სანახაობის საყურებლად და საჩუქრების მისაღებათ. დარაზმულებს მეთაურობდა ი. გე-ვა-ლი. დაიწყო ვარჯიშობა და რაზმის უფროსის ყვირილი:

— მარჯვნივ, მარცხნივ, როტა სტოი, თედო სტამბისკენ, არჩილ სტოლისკენ, სამსონ აჭარისკენ, სოსო სოსო ძმურ ნუგეშისკენ, გიორგი ბუკოვინისკენ, გიგო დასავლეთ ფრონტისკენ, აბა მოახდინეთ დემონსტრაცია ვითომ ტყუილი სულის ავადმყოფნი ხართ, ვითომ სადღაც ჯარს ვაგროვებთ ეგ საჭიროა ვინაიდან დიდ მნიშვნელოვან ამბებს უნდა მოველოდეთ ამ დღეებში.

— მაგას რაღა დამართვია, ვკითხე ექიმს.

— ეგ საბრალო ჩემი მოგვარეა ბ-ნო და რაც ეს ომი დაიწყო ძილი აღარ ეკარება თვალზე. ეგ ადვილი გასაგებიც არის იგი წინათ მაკენზენის კორპუსში მსახურებდა და ეხლა სამხედრო ჟინი აეშალა.

— რაზოიდის ერთი კიდევ უკამანდა მან და ისინიც დაიშალნენ. მე ყველასთან ვერ მოვასწარ გამოლაპარაკება, ვინაიდან შუაღამე გადასულიყო და ექიმის სიტყვით მათ მოსვენების დრო მოსვლოდათ. გამოვემშვიდობე ყველას და აღუთქვი ახალ წლის ღამეს ერთად შევხვდეთ ერთმანეთსამეთქი. ექიმმა კარის ბჭემდე გამომაცილა და მადლობა გადამიხადა. კარის ბჭეში კვლავ ხატისოვს წავაწყდი: მეეგროვებინა ყველა მსახურნი თავშესაფარისა და „გამოქცეულებზე“ ლექციას უკითხავდა. ერთი შავი კუპრსავით თმა აბურძგნული ჯეილი ლაპარაკს არ ილევდა და ხატისოვიც ჯინზე სქდებოდა.

— ვინ არის ეგ ყმაწვილი ვკითხე ექიმს.

— აბა ეგ მოდის მაგის ოხტიდანო, ნეტავ ადრე მაინც გამოერიცხნათ წ. კ. ს. წევრობიდანო, სხარტიშვილია გვარადო.

— ქალაქის უპრავის ოინებზე დღე და ღამ თავს უხეთქს საბრალოსაო. აი ეხლაც „გამოქცეულებზე“ ხედავ როგორ პირში ებმიანო.

გული გადამელია მათი ლაპარაკით, სწრაფ მოვისხი ქურქი გამოვეთხოვე ექიმს და შინისკენ მოვკურცხლე.

ონავარი.

არა ჩვეულებრივი კრება

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა.

თავ. დ. ო. ნიჟარაძე. არ მინდოდა ამის შესახებ ხმა ამომეღო, მაგრამ გარემოება მაიძულებს, დაგანახოთ თუ როგორ გვიმზერს თავად-აზნაურობას ჩვენი ბანკის გამგეობა. ამ წლის 27 ეკენისთვეს თავად-აზნაურობის არა ჩვეულებრივმა კრებამ დაადგინა, ეთხოვოს სადგილ-მამულო ბანკს დამფუძნებელი თანხიდან გამოეგზავნა 13,125 მანეთი და 58 კაპ. სააზნაურო გიმნაზიის შენობის კრედიტორების დასაკმაყოფილებლათ. 500 მანეთი თავად-აზნაურობის საჩქარო საქმეებისათვის, 5,000 მანეთი დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად და 6,000 მანეთი გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, როგორც თავად-აზნაურობის წარმომადგენელს სულ 29,125 მან. და 58 კაპ. ეს დადგენილება მეორე დღესვე ვაცნობეთ ბანკის გამგეობას, მაგრამ პასუხიც არ გვაღირსა. როგორც იყო ბანკის გამგეობამ გუშინ, 19 ამ თვეს გვაცნობა თავისი დადგენილება რომელსაც აქვე მოგახსენებთ და აქვე მოგვყავს ბანკის გამგეობის პასუხის მოკლე შინაარსი:

„10 ქრისტეშობისთვეს სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულმა კრებამ განვიხილეთ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის არა ჩვეულებრივი კრების ოცდა-შვიდ ენკენისთვის დადგენილება, შესახებ იმისა რომ ძირითადი თანხიდან გაგვეღო 29,125 მან. და 58 კაპ. თავად-აზნაურობის სხვა და სხვა საჭიროებისათვის. მაგრამ ამის დაკმაყოფილება შეუძლებლათ ვიცანით, რადგანაც 1899 წლის 1 მარტის თავად-აზნაურობის არაჩვეულებრივმა კრებამ დაადგინა, რომ ძირითადი თანხა მოხმარებოდა სწავლა-აღზრდის საქმეს. ასეთსავე აზრს დაადგა სახელმწიფო საბჭოც რაც 1903 წ. 21 აპრილს უმაღლესად იქნა დამტკიცებული, ამისთვის ეს დადგენილება თავად-აზნაურობამაც თავის მხრით სისრულეში უნდა მოიყვანოს. მდგომარე წლის 27 ენკენისთვის თავად-აზნაურობის დადგენილებიდან ყურადღების მიქცევის ღირსია მხოლოდ ის 13,125 მან. და 58 კაპ. რომელიც უნდა მიეცეს სააზნაურო გიმნაზიის კრედიტორებს. რაც შეეხება იმ 6,000 მანეთს, რომ მიეცეს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, თავად-აზნაურობის წარმომადგენლობისათვის,—ამ საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს სწავლა-აღზრდასთან. (!) დანარჩენი ფულის შესახებ კი თუ რა კავშირი აქვს მას სწავლა-აღზრდასთან ამის შესახებ თავად-აზნაურობა არაფერს გვეუბნება. ამ რიგად შეიძლება მხოლოდ გიმნაზიის კრედიტორების დაკმაყოფილება იმ შემთხვევაში თუ ამას აიტანს ბანკის კასა“.

თავ. დ. ო. ნიჟარაძე. მე მგონია ყველამ გაიგეთ, რაშია საქმე. მე როგორც წინა კრებაზედაც განვაცხადე კიდევ სულ 3 თვე დამრჩა სამსახურისა და სასყიდელს არ ავიღებდი. მაგრამ რას ნიშნავს ის მაგალითი, რომ დეპუტატთა საკრებულო ბრჭყალებში ჩასმული? შეიძლება დეპუტატთა საკრებულო მოისპოს, მაგრამ თავად-აზნაურობა ყოველთვის დარჩება, ამას მოწმობს ის სახელმწიფოები, სადაც რესპუბლიკაც არის შემოღებული.

ბანკის წარმომადგენელნი ვ. ჭილაძე და თავ. ს. მიქელაძე ბანკის ინტერესებს იცავენ.

თავ. ს. მიქელაძე. თავს შეურაცხყოფილად გრძნობს თავ. ერ. გელოვანის სიტყვებით, ვითომც იურისტები თეთრს შავად აქცევდნენ და შავს კიდევ თეთრად, რისთვისაც საყვედურს აცხადებს.

შოთა დადიანი. გადადის ისევ ერობის შემოღების საკითხზე და თხოულობს, რომ საშუალება იქნეს მიღებული ფულის გამოსაძებნათ.

ვ. ჭილაძე. უბრუნდება ისევ ბანკის საქმეს და ამბობს, რომ იმ დამფუძნებელი თანხიდან, რომელიც განისაზღვრებოდა 400,000 მანეთით ამ ჟამად სულ ცოტა არის დარჩენილიო.

თავ. დ. ო, ნიჟარაძე. წინადადება შემოაქვს: რადგანაც ბანკის დამფუძნებელ თანხამ ძლიერ მოიკლო. ბანკის ოპერაციებმა იკლო და ხარჯებმა კი მოიმატა, ეს თანხა ჯერ-ჯერობით ხელუხლებელი დარჩესო.

კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინეს: სთხოვოს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს გამონახოს საშუალებანი, რომ სააზნაურო გიმნაზიის კრედიტორები დაკმაყოფილებულნი იქნენ.

თავ. ერ. გელოვანი. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, ბატონებო, თუ რა მდგომარეობაში არის ჩვენი საზოგადო მოღვაწე და ჩვენი ქვეყნის მოქომაგე ბ. სილოვან ხუნდაძე. 30 წელიწადი იმსახურა ბ. სილოვანმა ჩვენს გიმნაზიაში და მე-31 წელს მას შეხვდა უთანხმოება მთავრობის წარმომადგენელთან, რისთვისაც ადგილიდან დაითხოვეს. ამისთვის, ბატონებო ჩვენ მოვალენი ვართ ვიშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს, რომ ბ. ხუნდაძე თავისი ადგილი დაუბრუნდეს. ამის მოწესრიგება მივანდოთ გუბერნიის წინამძღოლს თავად ო. ნიჟარაძეს რაზედაც იმედია უარს არ იტყვის.

კრებამ თავ. ნიჟარაძეს მიანდო ამ საქმის მოწესრიგება. გუბერნიის წინამძღოლმაც თანხმობა განაცხადა და კრებას აღუთქვა, ყოველივე ღონისძიებას იხმარს, რომ მათი სურვილი განახორციელოს.

შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ ერობის შემოღებისათვის უპირველესი საჭიროებისთვის სადგილ-მამულო ბანკმა მომავალი წლის მოგებიდან გადასდვას 1000 მანეთი.

მდ. რიონის ენერგიით სარგებლობის შესახებ აგრეთვე დაადგინეს: მიენდოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს რომ გამონახოს საშუალება ამ საჭიროების მოსაწესრიგებლად.

ნ. ახ-იანი.

მეაბრეშუმეთა ქალაქში

(წერილი პირველი)

ქ. ნუხა და მისი ქარხნები.—გაცხოველება აბრეშუმის წარმოებისა.—აბრეშუმის პარკის დღევანდელი ფასები.—იმერეთის აბრეშუმი და ჩვენი უილაჯობა აბრეშუმის წარმოებაში.—ქარხნების ანტისანიტარული მდგომარეობა.

ქალაქ ნუხას სამართლიანად ეთქმის მეაბრეშუმეთა ქალაქი. არა მგონია რუსეთში სხვა კიდევ ისეთი ქალაქი იყვეს, სადაც ამდენი აბრეშუმის სართავი და საგრეხი ქარხნები მოიძებნებოდეს. აქ დღეს უკვე ასამდის ევროპიულად მოწყობილი ქარხანა მოიპოვება, რომლებზედაც [illegible] რიცხვით რომ ვიანგარიშოთ ორას მუშაზედ ნაკლები არა მუშაობს თითოზედ. დღეს ნუხაში მეტად გაცხოველებული წარმოებაა აბრეშუმისა, ნამდვილი საქარხნო ციებ-ცხელება აქვს მოდებული მთელს ქალაქს, ცხოვრება სდუღს და გადმოდის. საქმე იმაშია, რომ ამ ჟამად სამხედრო უწყება დიდათ საჭიროებს აბრეშუმეულობას, რის გამოც აბრეშუმის ფასებმა მეტის მეტად აიწიეს და იმ ზომამდის მიაღწიეს, რომლამდის არას დროს არა ყოფილა. ორის წლის წინად დართულ-დაგრეხილი აბრეშუმის ფასი ფუთზედ 240 მანეთს არ ასცილდებოდა, მაგრამ დღეს მისმა ფასმა 550 მანეთს გადააჭარბა და აი სწორედ ამითი აიხსნება ის საშინელი საწარმოვო ციებ-ცხელება, რომელიც დღესა სუფევს ნუხაში. დღეს აქ ყველა აბრეშუმზედ ლაპარაკობს, კაცს ვერა ნახავთ ამ საკმაოდ მოზრდილს ქალაქში, რომ აბრეშუმთან რამე დამოკიდებულობა არ ჰქონდეს. მექარხნეები, პარკის მსყიდველ-გამყიდველნი, მუშები ქარხნებისა და საწვავ მასალის მიმზიდველებით პირთამდის სავსეა ქალაქი. დღეს ამუშავდნენ და ამოძრავდნენ ის ქარხნებიც კი, რომელთაც კარები კარგა ხანია დახშული და გამოკეტილი ჰქონდათ. დაჟანგებული მანქანები დაიფერა და კვლავინდებურად გუგუნი მორთო და ახმაურდა.

ზევით მოვიხსენიეთ, რომ აბრეშუმი იმ ფასებში გავიდა, რომლის მსგავსიც არას დროს არა ყოფილა მეთქი, მაგრამ ამით ეშველა რამე თვით მწარმოებელს, აბრეშუმის მომგონს—გლეხ კაცს თუ არა? არა და ორჯერ არა. ნუხის ქარხნები უმთავრესად ქუთაისის გუბერნიის მოყვანილს აბრეშუმის პარკს ამუშავებენ. თუმცა ადგილობრივაც და განსაკუთრებით საინგილოში, რომელიც გვერდით აკრავს ნუხას დიდძალი აბრეშუმი მოჰყავთ, მაგრამ ქუთაისის გუბერნიაც უმთავრესი წყაროა, საიდგანაც დაუმუშავებელ მასალას იღებენ აქაური ქარხნები. მაგრამ გადავხედოთ შარშანდელს ზაფხულს და გავითვალისწინოთ ის ფასები, რა ფასებშიაც ჩარჩებმა და მექარხნეებმა ჩაიგდეს მთელი ქუთაისის გუბერნიის პარკი. იმერეთში და საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში შარშან პარკი 12—14 მანეთად და ზოგან კიდევ ნაკლებადაც იყიდებოდა, იმ დროს, როდესაც თვით ნუხის მაზრაში და საინგილოშიაც პარკის ფასი 22 მანეთზედ ძირს არ დასულა. ამას ის გარემოებაც უნდა დაუმატოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის აბრეშუმი გაცილებით უფრო უკეთესია ღირსებით, როგორც თვით მექარხნეები აღიარებენ, ვიდრე ადგილობრივი. მაშ ეს რა უბედურებაა, რომ ჩვენი ხალხის ნაწარმოები ასე ჩალის ფასად უვარდებათ ხელში ჩარჩებს და მთელი ათასობით მათი ჯიბეები ივსება და თვით ხალხს კი ამ ათასგვარს გაჭირვების დროს ამოდენა ფული ელუპება. ნუ თუ ამაზედ არ უნდა დაფიქრდეს ქუთაისის გუბერნიის ინტელიგენციის შეგნებული ნაწილი და ხალხს ჯეროვანი დახმარება არ გაუწიოს საჭირო ორგანიზაციის შესაქმნელად პარკის კარგ ფასებში გასასაღებლად. აი დღესაც, გამხმარი პარკის ფასმა 90 მანეთს გადააჭარბა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ქუთაისის გუბერნიაში თუ მოიძებნება სადმე კიდევ გამხმარი პარკი ამის ნახევარს ფასსაც არ მისცემენ ჩარჩები. საჭიროა წელს გაზაფხულზედ მაინც მხედველობაში მიიღონ ქუთ. გუბერნ. მწარმოებლებმა დღევანდელი მომატებული ფასები და იმის დაგვარად გაყიდონ პარკი. არ შემიძლიან ამასთანავე ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ **აბრეშუმის ფასი დღითი-დღე მატულობს** და გაზაფხულზედ გაცილებით მეტი ეღირება იმაზედ რაც დღესა ღირს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დრო-გამოშვებით ცნობები მოვათავსოთ ხოლმე გაზეთ „საქართველოში“ ნუხის პარკის ღირებულების შესახებ და ვისაც მოსურვება შეუძლიან ამით იხელმძღვანელოს.

თუ ჩვენი სიგლახავე არა, მაშ რითი უნდა აიხსნას, რომ დღემდის მთელს ქუთაისის გუბერნიაში არ მოგვეძებნება არც ერთი აბრეშუმის სართავი ქარხანა. მაშინ ხომ აბრეშუმის დართვაზედ დასახარჯავი ფული ჩვენშივე დარჩებოდა და ბევრი მშიერი და გაჭირვებული სულს მოითქვამდა. შესაძლებელი იქნებოდა ამ საქმეში ქალების გამოყენება, რომლებითაც ქუთაისის გუბერნია სავსებით მოიჭარბებს. იმერეთის ზოგ ადგილებში ქარხნის შენახვა გაცილებით უფრო იაფი დაჯდებოდა ვიდრე ეს ნუხაში ჯდება, სადაც საწვავი მასალის მიტანა მეტად ძნელია და ძვირი. შეშა სიახლოვეს, თითქმის აღარც კი მოიძებნება, შორით მიტანილი კი 60—70 მანეთი ფასობს საჟენი, მაზუთის მიტანა კიდევ უფრო ძნელია, რადგანაც რკინის გზას ნუხა 70 ვერსითა შორავს. ქუთაისის გუბერნიაში კი ტყეები და ქვანახშირი მოიჭარბებს; ქარხნების შენახვა გაცილებით ნაკლები დაჯდება და ადვილად მოსაწყობიც იქნება. დროა, დრო ჩვენც გამოვფხიზლდეთ და ვისწავლოთ რამე. თუ თათრებმა რომელნიც კულტურულად ქართველებზედ გაცილებით დაბლა სდგანან შესძლეს მთელის წარმოების ხელში ჩაგდება, ნუ თუ იმერეთის მკვირცხლი ხალხი ამას ვერ შესძლებს? ცოტა მეტი გამჭრიახობა და მხნეობა და ყველაფერი გაკეთდება.

ცოტა რამ ახლა თვით ქარხნების შინაური ცხოვრების შესახებ: ზევითა ვსთქვი, მრავალი ქარხანა ევროპიულად მოწყობილი არის მეთქი, მაგრამ გამოტეხით უნდა ვსთქვათ, რომ ევროპიული მათში მხოლოდ მანქანები არის, დანარჩენი კი ისეთ საზარელობას წარმოადგენს, რომ მათი ანტისანიტარული მდგომარეობა ადამიანს გულს შეზარავს. უპირველეს ყოვლისა, მიუახლოვდებით თუ არა ქარხანას მაშინვე გეცემათ გახრწნილი მძოვრის სუნი,—ეს არის პარკში მოთავსებული ჭიის სუნი, რომელიც ცხელს წყალში ჩაგდებული დამბალა და გახრწნილა. ამნაირი საშინელი მძოვრის სუნი სდგას მთელს გზასა და ქარხანაში, სადაც ამ სუნს კიდევ ემატება ცხელი წყლის ოშხივარი. უნდა ნახოთ ზამთარში როცა ცივა და ოშხივარი ცხელი წყლისა ძალზედ ადის, ისეთი ბული სდგას მთელს ქარხანაში, რომ მუშები ერთმანეთს ვერც კი ჰხედავენ ხოლმე. გრძელს ოთახებს, რომლებშიც არის მოთავსებული ქარხნები ჰაერის რამ გასაწმენდი სრულიად არ მოეპოვებათ. ამგვარს მოხშამულს ჰაერში იმყოფებიან საბრალო მუშები, მთელი 13 საათის განმავლობაში მუდამ დღე. მაგრამ ხშირად ეს 13 საათიც მექარხნის თვითნებობაზედა ჰკიდია და რამდენიც მოეპრიანება იმდენს ამუშავებს. ამ შემზარავი და მოწამლული ჰაერისა და აუტანელი პირობებისა გამო მომუშავეთა 50 პრო. ჭლექიანია. ყველაზედ უფრო შესაბრალისნი არიან პაწაწა ბიჭები 7—12 წლისანი, რომელთაც დედის ძუძუც კი ხეირიანად პირზე არ შეშრობიათ და ამ სულის შემხუთავს ჰაერში უნდა გაატარონ 13 საათი დღეში. ვერც ხელფასით დაიტრაბახებენ აქაური მუშები, თუ ამ ჟამად აბრეშუმის [illegible] გამო, ასე თუ ისე საშუალო ფასებს იღებენ, წინედ ამავე მუშებს 40—60 კაპეიკამდის ძლივსა ჰქონდათ. ასეთს უმწეო მდგომარეობაში არიან აქაური მუშები, მაგრამ მათი პატრონი ვინ არის, ვინ უშველის მათ, ვინ შეიტკიებს მათთვის თავს და დაიხსნის მექარხნეთა ალვირ-წახსნილ თარეშისაგან.

ზ. ედილი.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

22 ქრისტეშობისთვე.

22 ქრისტეშობისთვეს ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. კრების უმთავრესი მიზანი იყო არჩევა ქალაქის გამგეობის მეორე წევრისა. როგორც მკითხველებს მოეხსენება კანდიდატების დასასახელებლად არჩეული იყო სარეკომენდაციო კომისია, რომელმაც კანდიდატებად წამოაყენა ინჟენერი ვ. არდიშვილი და ს. წერეთელი.

კრებაზე ჩვეულებისამებრ წაკითხული იქნა წინანდელი საბჭოს კრების ოქმი, რის შემდეგაც შეუდგნენ არჩევნებს. კრებას მოხსენდა აგრეთვე, ს. წერეთელმა განცხადება შემოიტანა, რომ იგი ყუთის დადგმაზე კატეგორიულათ უარს ამბობს და სურვილიც არ აქვს რომ ქალაქის საბჭოს წევრათ გავიდესო.

თავჯდომარე კრებისა ს. მიქელაძე წინადადებას აძლევს კრებას, რომ გარდა ვ. არდიშვილისა დაისახლებიათ სხვა კანდიდატიც. ხმოსნებს ურიგებენ ფურცლებს შეკრების და გადათვალიერების დროს გამოირკვა რომ კანდიდატებათ საბჭოს სურს ვ. არდიშვილი, ს. წერეთელი და ფ. მგალობლიშვილი, პირველს მოუვიდა 20 ხმა მეორეს 12 და მესამეს კი 5 ერთი ფურცელი ცარიელი გამოდგა. სულ ამ კრებაზე კი იყო 38 ხმოსანი. ბ. ფ. მაგალობლიშვილმა თავის კანდიდატურაზე უარი განაცხადა. თავჯდომარემ აგრეთვე განაცხადა, რადგანაც ს. წერეთელი კრებას არ დასწრებია და უარიც განცხადებული აქვს ჩვენ უფლება არა გვაქვს მას ყუთი დავუდგათო.

ერთი ჯგუფის ხმოსნებმა წინადადება შეიტანეს, მიეყვანათ ბ. ს. წერეთელი და მანამდის კი კრება შეეწყვიტათ. თავმჯდომარემ მათი სურვილი შეასრულა. დაინტერესებულმა ხმოსნებმა ს. წერეთელთან კაცი აფრინეს, კაცები გაგზავნეს აგრეთვე ისეთ ხმოსნებთან, რომელთაც კრება სულ არ აინტერესებდა, მხოლოდ იცოდენ, რომ ისინი ხმას ბ. ს. წერეთელს მისცემდენ. კრების შეწყვეტის შემდეგ მოახდინეს ჩუმი მუსაიფი უკეთ, რომ ვსთქვათ აგიტაცია ვ. არდიშვილის საწინააღმდეგოდ.

ს. წერეთელი ძალაუნებურად დაითანხმეს ყუთის დადგმაზე. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბ. ვ. არდიშვილს მოუვიდა 23 თეთრი კენჭი და 20 შავი, ხოლო ს. წერეთელს 26 თეთრი და 16 შავი. ამ რიგათ ქალაქის საბჭოს მეორე წევრათ არჩეულ იქმნა ბ. სოლომონ წერეთელი.

ს. წერეთლის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მას გამგეობის წევრობა თავზე მისდაუნებურად მოახვიეს და საქმეებს თავის სურვილის წინააღმდეგ კარგად ვერ გაუძლვება. მეორე კანდიდატი კი თავის დარგში სპეციალისტია. ინჟენერი ჩვენი ქალაქისათვის მეტად საჭირო იყო და მასაც სურვილი ჰქონდა, რომ ქალაქისათვის სამსახური გაეწია.

საკვირველი აგრეთვე ის არის რომ სანამ არჩევნები შესდგებოდა სულ იყო 38 ხმოსანი, ხოლო კენჭის ჩაგდებისას კი აღმოჩნდა 42. რას ნიშნავს ეს!? მაგრამ ჩვენში ყოველივე უკუღმართად ხდება და ასედაც იქნება, სანამ ეს პარტიული ჟინი, რომელიც გამეფებულია ჩვენს დაწესებულებებში—არ მოისპობა.

ქუთათური.

ქალაქის საბჭო

23 ქრისტეშობისთვე

ქალაქის გამგეობა და ტრამვაი
ა. ხატისოვი თავმჯდომარეობს.

ბ-ნი არღუთინსკი: თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ნაძალადევში მიმავალი ტრამვაის ლიანდაგი ქალაქის მფლობელობაში არ გადმოდის; იგი ისევ უსახელო საზოგადოების საკუთრებაა 1921 წლამდე. ამ ჟამად რადგან ყველა სხვა ლიანდაგები, პარკი ტრამვაისა, ელექტრონის სადგური და ტრამვაის მოსამსახურენი ქალაქის ხელში გადმოდის, უსახელო საზოგადოება ისეთ გარემოებაში ვარდება, რომ მისის მხრივ შეუძლებელია მარტო ნაძალადევის ლიანდაგი ამუშაოს. ამიტომ გამგეობა წინასწარ მოელაპარაკა ტრამვაის ადმინისტრაციას ეს

ლიანდაგი ქალაქმა აიღოს, თუ საბჭო ამის თანახმა გახდება. ხსენებული ლიანდაგი ეხლა თვიურად 1000 მანეთ ზარალს იძლევა და რათა ქალაქი ზარალში არ ჩავარდეს, ბელგიის უსახელო საზოგადოება მზადაა გვაძლიოს ჩვენ თვიურად 1,500 მან. და კისრულობს ყოველივე ხარჯს, რაიცა გამოწვეულ იქნება უცაბედი შემთხვევის გამო, მაგალითად, ვინმე ან მოკვდეს, ანუ დასახიჩრდეს და სხვ.

ხმ. ევანგულოვი: რამდენ ხარჯს თხოულობდა ეს ლიანდაგი?

ა. მ. არღუთინსკი: გადაჭრილი პასუხის მოცემა არ შეგვიძლიან.

ხმ. ევანგულოვი: ასეთი სიტყვიერი მოხსენებით არ შეიძლება ასეთი დიდი საქმის გადაწყვეტა. როგორც ტრამვაის საკითხია. თითონ თქვენვე არ გცოდნიათ, ლიანდაგი რამოდენ ხარჯს თხოულობს ანუ შემოსავალი რამდენი აქვს და ნებართვას კი თხოულობთ ჩვენგან იჯარით აღების შესახებ. ეს შეუძლებელია. შეადგინეთ წერილობითი მოხსენება და წარმოგვიდგინეთ შემდეგი კრებისათვის. მაშინ ვნახავთ, როგორც უნდა მოვიქცეთ.

ა. ი. ხატისოვი: იჯარით აღების საკითხი დღეს დაიბადა და როდის უნდა შეგვედგინა წერილობითი მოხსენება. გადადება საკითხისა კი არ შეიძლებოდა, რადგან ტრამვაი ხვალვე სავსებით უნდა გადმოვიდეს ქალაქის ხელში და თუ ნაძალადევის ლიანდაგი ქალაქმა არ აიღო, იქ მოძრაობა, შესწყდება რადგან უსახელო საზოგადოებას არც ელექტრონის სადგური რჩება, არც პარკი და არც მუშები. ასე ხელად ყველაფერს ხომ ვერ გაიჩენს საზოგადოება მხოლოდ ნაძალადევის ლიანდაგისათვის.

ა. მ. არღუთინსკი. ამტკიცებს, რომ ქალაქისათვის დიდი სახეირო იქნება ხსენებულ ლიანდაგის იჯარით აღება და საბუთად ის მოჰყავს, სხვათა შორის, რომ ქალაქს შეუძლიან იმ ლიანდაგზე ამუშაოს მხოლოდ 2 ვაგონი, ხოლო თუ უსახელო საზოგადოების ხელში დარჩა ლიანდაგი, მაშინ ქალაქმა, ხელშეკრულობის ძალით, 6 ვაგონი უნდა დაუთმოს საზოგადოებას ე. ი. 4. ვაგონი ზედ-მეტი და ეს კი საზარალო იქნება ქალაქისათვის, რადგან 1 ვაგონს შემოაქვს დღეში 60 მანეთი, ხოლო 4-ს—240 მანეთი და ეს ფული დაეკარგება ქალაქსო.

ხმ. მიტკევიჩის აზრით გამგეობა გულმტკივნეულობას იჩენს ბელგიის უსახელო საზოგადოებისადმი და ეს შემცდარი ნაბიჯია. გამგეობა გულმტკივნეულობით როდი უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ წმინდა ანგარიშებით. ქალაქის გამგეობა მაშინვე შესცდა, როცა ახალი პირობით შეეკრა უსახელო საზოგადოებას ნაძალადევის ლიანდაგის გაყვანის დროს. რატომ მაშინვე არ გაითვალისწინა გამგეობამ, რომ ლიანდაგების სხვა და სხვა დროს გამოსყიდვა უხერხული იქნებოდა.

რაც მეტ გაჭირვებაში ჩაცვივიან ტრამვაიის წინანდელი პატრონები, მით უმჯობესია ქალაქისათვის, რადგან მაშინ ისინი ვადის გასვლამდე ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში დაგვითმობენ ლიანდაგს. ამიტომ ქალაქმა არ უნდა დაზოგოს ისინი.

ხმ. ბაბოვი. ნაძალადეველები ცუდ პირობებში ჩაცვივიან, ტრამვაის მოძრაობა თუ შესწყდა.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი. ქალაქის გამგეობა რამდენიმე ხნის წინად ამტკიცებდა, უსახელო საზოგადოებას არავინ ჰყავს თბილისში კანონიერი წარმომადგენელიო. ეხლა-კი გაჩნდა წარმომადგენელი, რომელსაც გამგეობა ყოველგვარ პირობით ეკვრის. იგი წინააღმდეგია გამგეობის აზრისა.

ხმ. ხუნდაძე. ქალაქის საბჭო ვერავითარი პირობით ვერ შეეკვრება უსახელო საზოგადოებას, რათა ქალაქი ხელ-ფეხ შებოჭილი არ დარჩეს. გამგეობას თუ საჭიროდ მიაჩნია რაიმე პირობის დადება საზოგადოებასთან, ამას არავინ უშლის, მაგრამ ეს პირობა ქალაქისათვის სავალდებულო არ უნდა იყვეს. წერილობითი მოხსენების წარმოდგენა გამგეობის მხრივ საჭირო არ არის, მიტომ რომ აღძრულ საკითხის შესახებ საბჭო ვერას შემთხვევაში ვერ გახდება თანახმა, რა ფორმითაც უნდა იყვეს იგი წარმოდგენილი, წერილობით თუ სიტყვიერად.

კამათის დროს გამოირკვა, რომ ნაძალადევის ტოტი წინა წლების განმავლობაში თვიურად ას თუმანზე ბევრად მეტ ზარალს იძლეოდა და ეხლა ვარაუდათ უანგარიშნია გამგეობას ასი თუმანი ზარალი.

გამგეობამ თავისი წინადადება მოხსნა ხმის ჩამოუტარებლად.

სოფლის მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობა

ვისზე და რაზე არ იწერება ჩვენს თანამედროვე გაზეთებში, მხოლოდ არა სოფლის მასწავლებლებზე.—ის ხალხი, რომელთა ხელშიაც ტრიალებს ბედ-იღბალი ჩვენი მომავლისა, ჩვენი იმედისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი უკვდავებისა—დავიწყებულია ყველასაგან. არც მთავრობა და არც საზოგადოება მათზე სრულიად არას ზრუნავს.

სოფ. მასწავლებელთა მდგომარეობა ყოველთვის უმწეო, უნუგეშო და სატირალი იყო და დღეს ხომ მთლად ანდერძ-ასაგებია.—როგორ უნდა იცხოვროს დღევანდელ პირობებში ადამიანმა თვეში 25—28 მანეთით? თუ ჩვეულებრივ დროსაც სოფ. მასწავლებელი მშიერი იყო, დღეს, როცა ცხოვრება ერთი-ხუთად და ათად გაძვირებულია, როგორ არ უნდა ამოხდეს მას სული? კიდევ კარგი, თუ მას მარტო საკუთარი თავი აქვს სატირალი. ვაი იმას, ვინც ცოლ-შვილით დატვირთულია.

მთავრობა უმატებს ჯამაგირებს და აძლევს „პოსობიებს“ პოლიციაში, რკინის გზებზე და ფოსტის უწყებაში მოსამსახურეებს და სხვა მოხელეებს, ხოლო სოფლის მასწავლებლებზე კრინტსაც არავინ სძრავს.—წარმოიდგინეთ ისიც არაა თურმე გამოკვლეული ჩვენს კანონმდებლობაში, თუ რა ჯურის ხალხია ეს სოფ. მასწავლებელი! ხან მათ უწოდებენ „თავისუფალ მოჯამაგირეს“, ხან-კი „ჩინოვნიკი“ ხარო და ერთგულობის ფიცის ქაღალდსაც-კი აწერინებენ...

საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა და გაუმჯობესება სოფ. მასწავლებელთა მდგომარეობისა და მაშინ მთავრობასა და საზოგადოებას სრული უფლება ექნება მოსთხოვოს მათ ის, რაც ნამდვილ მასწავლებელს მოეთხოვება და არა უბრალო, იაფ-ფასიან მოჯამაგირეს.

კაი.

ფრანგი სოციალისტები

ფრანგმა სოციალისტებმა წლიურ კრებაზე რეზოლიუცია გამოიტანეს, რომლის ტექსტი დაახლოვებით ასეთია: „სოციალისტების პარტია ეროვნულ თავდაცვის გამო იბრძოლებს ბოლომდე, იგი წინააღმდეგი იქნება ყოველგვარი ანექსიისა და დაპყრობითი პოლიტიკისა. პარტია იბრძოლებს და ომს მისცემს ხმას იქნობამდე, ვიდრე საფრანგეთი არ განთავისუფლდება შემოსეული მტრისაგან, ვიდრე ბელგეთი და სერბეთი სავსებით აღდგენილ არ იქნება ნანგრევებიდან. საფრანგეთსა და ელზას ლორენის შუა უნდა აღდგენილ იქმნეს დაკარგული კავშირი“ და სხვა.

სოციალისტთა პარტია აცხადებს, ჩვენ მხოლოდ გერმანეთის ქედის მოხრა გვსურს და არა მისი განადგურება. პრუსიის მილიტარიზმი საშიშია მთელი ქვეყნიერებისთვის, გერმანია უნდა დაუბრუნდეს ნორმალს მდგომარეობას, მშვიდობიან პროგრესის გზას.

როგორც მანიფესტში ნათქვამია მოკავშირეთ გასამარჯვებლად საჭიროთ არა მარტო იარაღის მოკრება, არამედ თვით ხალხის თანაგრძნობა-თანამშრომლობა; უწინარეს ყოვლისა, თვით გერმანელი ხალხის თანაგრძნობა, იგი უნდა განთავისუფლდეს მთვრალურ ბურუსიდან, რომელშიც გაჰხვიეს მისმა მმართველებმა იგი. ამიტომაო, ნათქვამია ამ მანიფესტში, ჩვენ ვაახლებთ გერმანელ სოციალ დემოკრატებთან კავშირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს ჰყოფს იმპერიალიზმს და დაპყრობით პოლიტიკას, აღიარებს პატარა ერთა უფლებას, ხოლო დაჩაგრულ ეროვნებათა შორის დაადგენენ თავიანთ status-ს და განაცხადებენ პროტესტს საერთაშორისო უფლების დარღვევისთვის ნეიტრალ ქვეყნებში. ამ რეზოლიუციის ბოლოს მიჰმართავენ ლიდერებს: ალბერს, თომას, სამბას და ჟიულ-გედს, რომ მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ თავდაცვის საქმეში. ამასთანავე იგი ემხრობა საზოგადო და არა სეპარატიულს ზავს, ისეთს ზავს, როგორიც განსაზღვრული იქმნა ინგლისის პრემიერ მინისტრ ასკვიტის მიერ, თუ ვინიცობაა ნეიტრალ სახელმწიფოები ჩამოერევოდნენ ზავის ჩამოსაგდებად, თვით ასეთი წინადადებაც კი მოკავშირეთა წარმომადგენლების კრებაზე შეთანხმებით უნდა იქმნეს განხილული და დამტკიცებულით. (რ. ს.).

სათოკეები ირაზმებიან

სანამ ბ. გ. ნაცვლიშვილი სოფელში მოტრიალდებოდა, ბოდბისხევი ს. შეჭმული იყო სულთამხუთავებისაგან. ს. ბოდბისხევი 6 უბნათ იყო და არის გაყოფილი: (ეგრეთ წოდებულ ექვს მელიციად). ჭაბაანები, ქვემო უბანი, ბოხორი, ნაცვლიანები, ტუხაანი და ფანიანი, ანუ ღვინაანი. ყველა ამ უბნებს თავისი წარმომადგენლები ჰყავთ. ამ წარმომადგენლებს ისეთი ნდობა, გავლენა ჰქონდათ თავთავის უბნებში, რასაც მოისურვებდნენ იმას მიაღებინებდნენ ხალხს. ორ რაზმათ იყვნენ დაყოფილი: ერთ წელიწადს ერთ რაზმს აარჩევინებდნენ ხალხს სოფლის გამგეებათ, (თორმეტ კაცათ) რომელთაც წლის თავზედ თვით უანგარიშებდნენ მათს ხელში განვლილს სოფლის შესავალ-გასავალს; ხოლო მეორე რაზმს მეორე წელიწადს ირჩევდნენ, ასე, რომ მთელი სოფლის ყოველივეს საზრუნავს ეს ორი პარტია განაგებდა, რომელთაგან სოფელს სული ჰქონდა შეხუთული... მათგან შეჭმულ ფულს ვირა ჰხედავდა, რადგანაც თვით როგორაც სურდათ ანგარიშის შედეგს ისე გამოაცხადებდნენ ხოლმე—ყრილობაზედ. ხოლო სოფელი გადასახადებს ერთს-ორათ იხდიდა, სახაზინო „ნედოიმკა“ დაულეველი იყო. ეს ორი პარტია, წლიდან-წლამდის ერთთავად სამიკიტნოებში ტრიალებდნენ: მსუქანი ქათმები, ინდაურები, ქორფაი ღორები და ცხვრები მათ ჩვეულებრივ სადილს შეადგენდა და სასმელად, თუ არა თავ-ღვინოს, პირს არ დააკარებდნენ.

დრონი იცვლებიან... გაჩნდა სოფლის გულშემატკივართა პატარა წრე, რომელთა მეცადინეობით გამოფხიზლდა ხალხი,—თვალები მოიფშვნიტა.— ამ წრეს სათავეში უდგას ბ. გ. ნაცვლიშვილი. რაც ამ პატივცემულმა პირებმა მოიწადინეს ყველა ის სოფელმა მიიღო, სისრულეში მოიყვანა და ამით კი იქამდის მივიდა საქმე, რომ სოფელი დაღუპვისაგან გადარჩა, ფეხზედ წამოდგა. რამდენადაც სოფლის საქმეები კეთილად მიდიოდა, იმდენად ამ პატივცემულთა ნდობა დიდდებოდა და ეს კაცის-ჭამიები სოფლის საქმეებიდან იდევნებოდნენ. მაგრამ მაინც არ ისვენებენ, ხალხს რევენ, ყოველ სასოფლო საქმეების გაკეთების დროს შფოთსა და აყალმაყალსა მართავენ. ამ რაზმს მეთაურობს ცნობილი მოვახშე. დაირაზმნენ ეკლესიაში შეჰფიცეს ერთმანეთს, შეებრძოლონ ამ სოფლის მოკეთეებს, მოაცილებინონ სოფელს იგინი თავიდან, რომ კვლავ დაუბრუნდნენ სოფელს მცარცველად. მოგეხსენებათ, ბევრი კიდევ ნდობით უყურებენ ამ მავნე პირებს და ესენიც აი ამათში ავრცელებენ ცრუ ხმებს, რომ მათი ხმით დანარჩენი ხალხიც აიყოლიონ და ამგვარათ მიახწიონ საწადელს...

ამ დღეებში სიტყვიერი თხოვნით მიმართეს ბ. მომრიგებელ-შუამავალს: გ. ნაცვლიშვილი მოგვაცილეო! შუამავალმა კარები უჩვენა. ახლა შეადგინეს წერილობით საჩივარი რუსულ ენაზედ, რომ ხალხმა მისი შინაარსისა ვერაფერი გაიგოს და ხელის მოწერის დროს-კი სხვანაირად უხსნიან... და ნერწყვ მომდგარნი ჰპირდებიან: თუ ეს საჩივარი გავიყვანეთ, მაშინ ერთი ძველებურად კიდევ ჩავხაროთ მუხლი კანცელარიის აივანზეო. არ ვიცი თვის საწადელს როგორ მიახწევენ, მაგრამ ხალხს კი დიდათა რევენ და აწუხებენ... მეტი წილი უბირი ხალხი ვართ, ვერ აგვიხსნია ბ. მ. შუამავლისათვის მათი ოინბაზობა და ბ. მ. შუამავალმა კი არ იცის მათი ვინაობა, თორემ გვიზამდა სიკეთეს, ერთხელ და სამუდამოთ მოგვაცილებდა მათ სოფლის საქმეებიდან, რომ სოფელს მოესვენა!

გლეხი.

პროვინციის ქრონიკა

ბაქო.

ამ მოკლე ხანში მოხდება მაჰმადიან მასწავლებელთა შეერთებული თათბირი.

ზუგდიდი.

ვაჭართა თვითნებობა-თავგასულობას საზღვარი არ უჩანს, ყოველგვარ საქონელს მალავენ და ხელოვნურად ერთი ორად აძვირებენ. ამხანად აქეთ შაქარი სრულებით არ მოიპოვება. ამინდები გვარიანია.

სიღნაღი.

ლაგოდეხისკენ მიმავალ მგზავრებს მამიაშვილს, გიოშვილს და კოხაშვილს ორი ყაჩაღი დაუხვდა და 130 მან. წაართვა.

ახმეტა.

ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის მეუღლემ, მარო ჩაგინისამ რევორველით თავი მოიკლა, მიზეზი გამოურკვეველია.

ბათომი.

ციხის საველე სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ორი აჭარელი: დიონიძე და ჩხავერაშვილი. აჭარელთ იცავდა ნაფიცი ვექილი ევგენი გეგეჭკორი.

ჭიათურა.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ ვანო იაკობისძეს და თეოფ. მელაძეს ოთხ-ოთხი წლის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა. მათ ბრალდებოდათ ყალბი თამასუქების შედგენა.

ახალ-ქალაქი.

ახალ-ქალაქელი გლეხობა მამასახლისს, თუ სხვა მოხელეს ხშირად გამოჰყავს ხარ და ურმით სამუშაოდ და არწმუნებს, რომ ის დაჯარიმებულია და ჯარიმა მუშაობით უნდა ზღას. ყრუ გლეხობას არა ესმის რა და მოხელეს ემორჩილება. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

— აქეთ 26 თიბ. სასოფლო კანონით არჩევნები უკვე დასრულდა. ხალხი კარგა მომზადებული ვერ შეხვდა არჩევნებს, ზოგმა არც კი იცოდა თუ რას შეიცავს ეს ახალი სასოფლო კანონი.

საერთოდ არჩევნებს სათავეში სასურველი პირნი ვერ მოექცნენ.

დაბა-სოფლები

ჭიათურა. შავი ქვის წარმოება დღეს მიმკვდარებულია. ჭიათურის მაცოცხლებელი ძალები შავ ქვაზე მომუშავენი იყვნენ, რომლებიც ეხლა ბრძოლის ველზე არიან გაყვანილნი მტრის ტყვიის გულის მისაშვერად. დანარჩენთ სოფელს მიაშურეს. ადგილობრივ დარჩნენ მხოლოდ მკვიდრი მცხოვრებნი, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა მცირე ნაწილი და რამოდენიმე შავიქვისავე მწარმოებელი „კანტორა“.

ო—თელი.

მუშათა შორის

ქუთაისი.

წარსულ მოძრაობის შემდეგ ქუთაისის მზარეულებმა მიიძინეს. დღეს, როცა ქვანიც კი ხმაურობენ, ისინი ამ დროს, „საღათას ძილს“ მისცემიან და მოცლილ დროს ლაზღანდარობაში და ლოთობაში ატარებენ, ქუთათურ მზარეულებს ჯერ აზრადაც არ მოსვლიათ მეტად საჭირო „პროფესიონალურ კავშირის დაარსება“.

— ადელხანოვის ქარხნის მუშებს აქვთ დაარსებული თავის ხარჯით კასა, სავადმყოფო და ჰყავთ აგრეთვე ექიმი. ექიმი მუშებს მეტად ცუდათ ეპყრობა, ხშირად არც კი მიდის მათ სანახავად და წამლის გამოწერაზედაც უარს ამბობს ხოლმე, საჭიროა ამის მოწესრიგება, რომ მუშებს თავის ნაშრომ-ნაღვაწ კასიდან მაინც შეეძლოთ სამართლიანად სარგებლობა.

სომეხთა ცხოვრება

თან და თან საშიში ხდება სპარსეთის სომეხთა მდგომარეობა. სომხურ გაზეთებს მუდამ დღე მოსდის ცნობები, სპარსეთში სომეხთა დატუსაღების და მათ სახლ-კარის აკლების შესახებ.

სპარსეთიდან უკვე დაიწყეს სომხებმა გამოქცევა.

ვანში გამოქცეულები ამ ჟამად კარგ პირობებში იმყოფებიან სურსათ-სანოვაგის მხრივ. ვანში არ იშოვება მხოლოდ შაქარი და ხორცი, პური საკმაოა.

ბულგარეთში განაგრძობენ სომეხთა დევნას.

ალექსანდრიაში ვაჭარმა სომხებმა დაზარალებულ მოძმეთათვის ფული შეაგროვეს.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ხელმწიფე იმპერატორმა. წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით დააჯილდოვა თბილისის მაჰმადიანთა სასწავლებლის მეთვალყურე ჰალი-ბეგ ამირბეგოვი.

— ამას წინად მოსკოვში დაიკეტა ცნობილი პუბლიცისტის ისჰაკოვის გაზეთი „ილი“ (ხალხი) ახლა მის მაგივრად გამოვიდა ახალი გაზეთი „სუუზი“ კავშირი. გაზეთის საქმე ჯერჯერობით გვარიანად მიმდინარეობს და ხელის მომწერლებიც ბლომად ჰყავს.

— სპარსეთის ამბებს მაჰმადიანთა საზოგადოება და მაჰმადიანთა პრესა დიდ თვალ-ყურს ადევნებს.

— სურმალინის მაზრაში მაჰმადიან გამოქცეულთ ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ ფქვილი უკვე მიაწოდა.

სხვა და სხვა ამბები

რიაზანის საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობა აღძრა ამ გუბერნიაში არსებულ ერობის რეფორმის მოსახდენად.

— იაროსლავის გუბერნიაში არსებულ ერობის რეორგანიზაციას ახდენენ.

— განათლების მინისტრი იგნატიევი მოითხოვს სახალხო და სოფლის სკოლის მასწავლებელთ ჯამაგირი მოემატოს.

— პოლონური გაზეთები ამ ხანად ბევრს სწერენ პოლონეთის მომავალ ბედზე.

— გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს მიერ განხილული კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ.

— ქაღალდის საკითხი რუსეთში ვერ არის სანუგეშო.

— საგანგებოდ დანიშნულ გამომძიებამ რუსეთის რკინის გზებზე, ბევრი უწესოება აღმოაჩინა. ზოგ ადგილის უწესოებას ადამიანი პირდაპირ განცვიფრებაში მოჰყავს.

რუსეთი

თვალ-ყურს ადევნებენ

სახელმწიფო საბჭოს წევრების კერძო თათბირზედ ერთმა პროგრესიულ ბლოკის წევრმა მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის შესახებ. როდესაც ორატორი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და თავის ადგილზედ დაჯდა, მასთან მივიდა საბჭოს პრეზიდიუმის წევრთაგანი და საშინლად გაჰკიცხა მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრების გამო. პრეზიდიუმის წევრმა საყვედური უთხრა ორატორს და შეუძლებლათ სცნო სახელმწიფო საბჭოს წევრისათვის ამგვარი გამოსვლა, რადგან ეს შეურაცხჰყოფს ისეთ დიდ დაწესებულებას, როგორიც არის სახ. საბჭო. ამასთანავე გააფრთხილა ორატორი, საახალწლოდ უსათუოთ უსიამოვნო ამბებს უნდა მოელოდეო. გაკიცხულმა ორატორმა მშვიდათ მოუსმინა ყველაფერი პრეზიდიუმის წევრს და შემდეგ ასეთი სიტყვებით მიჰმართა:

თქვენო აღმატებულებავ ძიძები და ოპეკუნები სრულებით არა მჭირდება. მიკვირს მხოლოდ, როგორ იკადრეთ შენიშვნა მოგეცათ ჩემთვის, როდესაც მე, როგორც საკანონმდებლო დაწესებულების წევრი, სრულებით თავისუფალი ვარ პასუხისმგებლობისაგან ყველას წინაშე. თქვენ ალბათ დაგავიწყდათ, რომ მე აქა ვზივარ, როგორც ხალხის მიერ არჩეული წევრი, და არა როგორც მთავრობისაგან დანიშნული, ასე რომ თქვენ გაფრთხილებას ახალწლის მომავლით ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო კარგი იქნებოდა, გაგეფრთხილებინათ მთავრობის მიერ დანიშნული წევრები, რახან ასეთი გულშემატკივარი ბრძანებულხართ.

ამ საუბარს ყურს უგდებდა სახელმწიფო საბჭოს მრავალი წევრი.

ნარევი

[illegible]

ლუგანსკში ვინმე ნ—ს, სიმთვრალისა თუ სიფხიზლის დროს მეეზოვისთვის ცოლი მიუყიდნია. მორიგებულან ფუთს ცხრა მანეთად და 20 კაპ., ხოლო მეეზოვეს პირობა დაუდვია, უკეთუ მისი ცოლი სამს ფუთზე მეტი აღმოჩნდა, მაშინ ხელს ვიღებო.

ასწონეს დედაკაცი.

3 ფუთი და 12 გირვანქა გამოვიდა. ამ 12 გირვანქის გამო ასტყდა დავიდარაბა. პატრონი ცოლში მთელ ფასს სთხოვდა ესე იგი 30 მან. და 35 კაპ. მყიდველი-კი უარზე იდგა და მხოლოდ 3 ფუთისას აძლევდა. ეუბნებოდა—თუ გინდა მაგ 12 გირვანქის მაგიერ თმა მოსჭერო.

იქ რომ მეეზოვის ძმა არ შესწრებოდა, ჩხუბი ჩავარდებოდა. მან მოაგონათ რომ ქალი შიშველი არ აუწონიათ, და 12 გირვანქა ტანისამოსი იქნებაო. ასწონეს შიშველი დედაკაცი და დაშოშმინდნენ.

არავინ იცის საქმე რით გათავდებოდა, საქონელს რომ პროტესტი არ განეცხადებინა, ჩხუბი მუშტ-კრივზე გადავიდოდა, შემდეგ ოქმის შედგენა მოჰყვებოდა და შემდეგ „საზოგადოების მყუდროების დარღვევისათვის“ საქმის წარმოება.

ამ ხორცის სიძვირის დროს კაცს თვალში ეცემა, რომ რუსეთში დედაკაცი ფუთი 9 მანეთად ფასობს!

რომელ საუკუნეში სცხოვრობენ?

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

ავტომობილები, ველოსიპედები
და მათი მოწყობილობა საწყობთან დიდი სახელოსნო შესაკეთებლად
ნ. ლგოტაკი
თბილისი, ოლღას ქუჩა 3. დეპეშისათვის: ლგოტაკ, თბილისი.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამბიევის შესახვევი № 4.